# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №9 (1639) 4 - 6 თებერვალი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

# რას წერენ საქართველოს მტრები

ДОКЛАД

## ГРУЗИНО-АБХАЗСКИЙ КОНФЛИКТ: ПРОШЛОЕ, НАСТОЯЩЕЕ, БУДУЩЕЕ

Москве следует пересмотреть свои стратегические приоритеты

6 7

*ნოდარ წულეისკირი:*

## დღეს, როცა თითქმის ყველა გადამტრიალებელი და პუტჩისტი ციხეშია, თვითონვე აღიარებენ...

მეოთხე გვერდი

## ახლა დეპუტატმა ტალახაძემ ცემა გუბერნატორ მამალაძეს

მეორე გვერდი

## აქა ამბავი იმისა, თუ როგორ დაურეკა სტალინმა ტუხაჩევსკის საიქიოში...

მერვე გვერდი

*ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს!*

## შევარდნაძის გადამტერება გერჩივნოთ ჩემსას!

↓

*ნოდარ გრიგალაშვილი:*

## ამ კაცის გაუბედურება ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

მესამე გვერდი

## „არ არსებობს ტერმინი თურქი-მესხი, არსებობს მესხეთელი თურქი“

„წმინდა ილია მართლის“ საზოგადოება ე.წ. „თურქ-მესხთა“ საქართველოში ჩამოსახლების წინააღმდეგია და თვლის, რომ ეს პრობლემა ხელოვნურადაა წინა პლანზე წამოწეული, რათა ხალხს აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტკივილი დაავიწყონ. საზოგადოება მცნება „თურქ-მესხის“ განსაზღვრაში ზვიად გამსახურდიას ცნობილ დეფინიციას ეყრდნობა: „არ არსებობს ტერმინი თურქი-მესხი, არსებობს მესხეთელი თურქი“ და თუ მათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სურთ, დაბრუნდნენ თურქეთში.

გამსახურდიას მიმდევართა აზრით, ე.წ. „თურქ-მესხთა“ ჯავახეთში ჩასახლებით, რომელიც თურქეთისა და სომხეთის საზღვარზეა, ახალი „ცხელი“ კერა გაჩნდება, სადაც თავისუფლად განხორციელდება პროვოკაციები საქართველოს წინაალდმგე. (გეა)

## აფხაზეთის ტელევიზიის ცნობით...

აფხაზეთის ტელევიზიის ცნობით, აფხაზეთში საქართველოს სპეც-სამსახურები ტერორისტულ საქმიანობას განაგრძობენ და ეს ხდება მაშინ, როცა რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისკენ მიმართული მოლაპარაკების მომზადება მიმდინარეობს.

აფხაზეთის ტელევიზიის ცნობით, საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის პერიოდში საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში, ვაჟა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ერთობლივი ჯგუფების შექმნა დივერსიული აქტების აღსაკვეთად, მაგრამ როგორც აფხაზეთის ტელევიზიის დიქტორი ამბობს, თბილისში ერთობლივი ჯგუფების შექმნას შეაფასებენ, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენას, რაც დაუშვებელია. უფრო იოლი იქნებოდა, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტრომ აფხაზეთის ტერიტორიაზე უბრალოდ შეწყვიტოს დივერსიული აქტები და ამ აქტებთან ოფიციალური თბილისის დამოკიდებულება გაარკვიოს.

როგორც აფხაზეთის ტელევიზია აღნიშნავს, ლორთქიფანიძის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ქართველებმა და აფხაზებმა დივერსიული აქტების გამო პასუხი ცალმხრივად უნდა აგონ, მაშინ, როცა ეს აქტები ქართველების მიერ ტარდება. „ლორთქიფანიძეს უკეთესის მოფიქრება არც შეეძლო“ – აღნიშნავს აფხაზეთის ტელევიზია. (გეა)

# ახლა დეპუტატმა ტალახაძემ ცემა გუბერნატორ მამალაძეს

3 თებერვალს პარლამენტის საგაზაფხულო სესია პრეზიდენტის ანგარიშით დაიწყო. სხდომას პომპეზურობასა და სადღესასწაულო იერს მატებდა პარლამენტის კიბეებზე და დარბაზის შესასვლელთან განლაგებული საალლუმო შესამოსელში გამოწყობილი ყარაული. თუმცა პრეზიდენტის რჩეულს, გუბერნატორ ლევან მამალაძეს, ვერც მათმა ალესილმა ხმლებმა უშველა და ვერც პრეზიდენტმა. ქვემო ქართლის გუბერნატორი „სახალხო ფრაქციის“ წევრმა ვახტანგ ტალახაძემ პარლამენტის ფოიეში სახალხოდ გალახა.

„სახალხოელების“ დაპირისპირება გუბერნატორთან ყველასათვის ცნობილია. პარლამენტის ფოიეში სწორედ ამის შესახებ საუბრობდნენ ლევან მამალაძე და მამუკა გიორგაძე დამსწრე გულშემატკივარ დეპუტატებთან ერთად. ცოტა ხმამაღლა კი მოსდიოდათ პოზიციების შეჯერება, რაც ყველას დარბაზშიც კი ესმოდა:

– მე შენთან მინდა საუბარი, ვინ მიგდია ტალახაძე და სხვები... – ლევან მამალაძე პოზიციას არ თმობდა.

– მე შენთან არ მაქვს სალაპარაკო და როდესაც დეპუტატებს ახსენებ, ცოტა წესიერად ილაპარაკე. თვითონ საიდან მოთრეულხარ და ვინ აგირჩია გუბერნატორად? – ხმას აუწია გიორგაძემ ხალხის რჩეულთა პრესტიჟის დასაცავად.

ამ დროს გრიგალივით გამოვარდა დარბაზიდან ვახტანგ ტალახაძე, ხელი ჩამოართვა მოწინააღმდეგეს და ჯიქურ შეუტია:

– როგორ კადრულობ ჩემი გარდაცვლილი ძმის სახელს ახსენებ და ჩემზეც ჭორაობ, შე ახალო კომსომოლეცო! – საბრძოლო პოზაში ჩადგა ტალახაძე და მხრები შეათამაშა.

– ჯერ სადა ხარ, კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი! – მიახალა მამალაძემ და თავი ამაყად დარბაზისკენ გაიქნია.

ეს ველარ მოითმინა დეპუტატმა ტალახაძემ და მისმა მუშტმა მამალაძის ყბაზე მძიმედ გაისეირნა. გუბერნატორი შებარბაცდა. გახელებულმა ტალახაძემ ელვისებური დარტყმები განახორციელა, მაგრამ სასიკვდილო ნოკდაუნამდე მამალაძე ისევ „სახალხოს“ თავმჯდომარემ იხსნა და თანაპარტიელი დააკავა. ამ დროს სხვა დეპუტატებიც მოვიდნენ და მოჩხუბრების დასაწყნარებლად შუაში ჩადგნენ.

სხდომაზე მამალაძე დარცხვენილ მოსწავლესავით იჯდა სამთავრობო ლოჟის უკანა სკამზე, ხოლო ვახტანგ ტალახაძე დარბაზში სკამზე გადაწოლილიყო და ხაზგასმული ყურადღებით უსმენდა პრეზიდენტს.

როგორც ეტყობა, მამალაძეს გუბერნატორობასთან ერთად ცემა-ტყეპაც დაეკვება, რასაც საყვარელი პრეზიდენტის იმედით „ვაჟკაცურად“ იტანს.

მანანა იაშვილი

# მორიგი დაკითხვა მორიგი ბრალდებულისა

როგორც ბრალდებულმა გელა პაპუაშვილმა სასამართლო პროცესზე აჩვენა იგი, მუშაობდა უშიშროების სამსახურში „ალფას“ მეთაურად 1995 წლიდან. სპეცდანიშნულების საბრძოლო ქვედანაყოფი ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მეთაურსა და უშიშროების სამსახურს. მასში შედიოდა 75 მებრძოლი, რომლებმაც მომზადება გაიარეს რუსეთის ტერიტორიაზე – საგარეო დაზვერვის სკოლაში. თბილისში მიმდინარე ბრძოლების დროს პაპუაშვილი იყო ჯარების სწრაფი რეაგირების სატურნის დაზვერვის უფროსი. ომის პერიოდში იცავდა ქალაქისათვის საჭირო სასიცოცხლო ობიექტებს და ასრულებდა ქალაქის კომენდატის დავალებებს. ასევე მან მონაწილეობა მიიღო უკრაინის, სასომხეთის და აზერბაიჯანის სპეც-სამსახურებთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში. 1992 წლიდან სპეცდანიშნულების ქვეგანაყოფის გარკვეული ნაწილი მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში, ხოლო დანარჩენი – პირადი შემადგენლობა – დასავლეთ საქართველოში. პაპუაშვილი ასევე მონაწილეობას იღებდა ფოთის, სენაკის, წალენჯიხისა და ხობის ბრძოლებში (სადაც იგი იყო შტაბის უფროსი).

რაც შეეხება ბრალდებულებთან ურთიერთობას, მან განაცხადა, რომ კვეზერელს იცნობდა როგორც თანამშრომელს და მასთან ერთად რამდენჯერმე მიუღია მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში. პაპუაშვილთან, რომელიც იყო იგორ გიორგაძის დაცვის უფროსი, განსაკუთრებული ურთიერთობა არ ჰქონია. გიგა გელაშვილთან ჰქონდა მხოლოდ თანამშრომლური ურთიერთობა. მათ შორის უკმაყოფილება გამოიწვია 4 მარტს მომხდარმა ფაქტმა, როდესაც მარნეულის ფოსტის შენობიდან მოხდა მხედრიონელების გამოძევება. ოშხერელისა და მაძლარაშვილის გაცნობა მოხდა მათი პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, გოგოტიშვილს იცნობდა, როგორც უშიშროების თანამშრომელს.

29 აგვისტოს ტერაქტის დროს იგი იმყოფებოდა აეროპორტის ტერიტორიაზე, რათა გაეცილებინა უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე – ჰეთანდილ იოსელიანი და გიორგაძის ოჯახის წევრები. ტერაქტის თაობაზე მას აცნობეს აეროპორტში, მთავრობის წევრთა გასაცილებელ ოთახში ყოფნის დროს. პრეზიდენტის დაცვა მის უფლება-მოვალეობაში არ შედიოდა და უშუალოდ მის დაცვას უზრუნველყოფდა სამთავრობო დაცვა.

გელა პაპუაშვილს, წინასწარი ძიების მასალების თანახმად, ბრალი ედება სამშობლოს ღალატში, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში, ბანდიტიზმსა და უკანონო იარაღის შეძენა-შენახვაში. საბრალდებო დასკვნაში აღნუსხულია იმ საბრძოლო მასალის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც აღმოაჩინეს ჩხრეკისას მის საცხოვრებელ სახლში. კერძოდ: 1 ცალი მცირეკალიბრიანი შაშხანა, 44 კგ ტროტილი, კაფსულ-დეტონატორი, 2 ყუთი ტყვია, 7 ცალი ხელყუმბარა და ჯავშანჟილეტი (ეს უკანასკნელი, მისივე განმარტებით, შეიძინა საჭიროების მიზნით).

ბრალდებულმა არცერთ ნაწილში თავი დამნაშავედ არ ცნო. მან განმარტა, რომ „ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე აუცილებლად მჭირდებოდა საბრძოლო მასალა, რომელიც მივიღე სამინისტროში და უშიშროებაში ყოფნის დროს. იარაღები აღრიცხული იყო ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც ინახება უშიშროების სამსახურის შეიარაღების განყოფილებაში. აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა კიდეც საბრძოლო მასალის ინვენტარიზაცია“.

ეკა ლებანიძე

# „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ ბრალს სდებს

სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ ბრალს სდებს მრგვალი მაგიდის, კიკაჩეიშვილი-გამახარიას გუნდს უკანონო, მარიონეტ ხელისუფლებასთან ალიანსში. მათი განცხადებით, „უკანონო ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავს ლეგიტიმაცია წარმოადგენს და იგი ცდილობს ფსევდოსაარჩევნო პროცესში ჩართოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრე ძალები, რათა ხელში ჩაიგდოს კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობა.

„შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობს მიმართოს უკანასკნელ საშუალებას – რეფერენდუმის ჩატარებას, რისთვისაც რუპორად იყენებს კიკაჩეიშვილი-გამახარიას გუნდს, რომელმაც უკანონო ხელისუფლებაში რეგისტრაციით ფარდა ახადა საკუთარ გარიგებას შევარდნაძის ხელისუფლებასთან“ – აცხადებენ საზოგადოების წევრები. წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრთა განცხადებით, კიკაჩეიშვილი-გამახარიას ჯგუფი რეფერენდუმის დასანიშნად იყენებს პეტიციაზე ხელმოწერებს – საოკუპაციო ჯარის გაყვანის მოთხოვნით, რითაც აღნიშნულ ჯგუფს შეცდომაში შეჰყავს პეტიციაზე ხელმომწერები, იმიტომ, რომ პეტიცია არ ითვალისწინებს რეფერენდუმის დანიშვნას ამ საკითხზე. გამგეობის წევრის, ოთარ კეპლიშვილის თქმით, ნებისმიერ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ანულირებას ემსახურება, რაც ღალატია ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე. (გეა)

## სხვისი სახელით კაპიტალის დაგროვების იმედი ნურავის ექნება

„კონსტიტუციისა და მოქმედი კანონების საფუძველზე დაუნდობელი და უსასტიკესი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს კორუმპირებული ელემენტების წინააღმდეგ. არავითარი დანდობა არც ერთ მინისტრს, მოსამართლეს, ბიზნესმენს, პარლამენტარს, პროკურორს, გამგებელს, ნებისმიერი რანგის მოხელეს, რომელიც კორუფციაში იქნება მხილებული“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ პარლამენტში გამოსვლისას. მისი თქმით, წესრიგის დამყარება სახელმწიფო სტრუქტურების კორუმპირებული ელემენტებისაგან გაწმენდით უნდა დაიწყოს.

„ბიზნესმენობას, მეწარმეობას ვერავის აუკრძალავთ, მათ შორის, ვერც ნათესავებს. მაგრამ ნურავის ექნება სხვისი სახელით კაპიტალის დაგროვების იმედი. ვისაც დანაშაულზე წაასწრებენ, მათ შორის, გადასახადების გადაუხდელობაში, დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით“ – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. (გეა)

## შემუშავებულია პროგრამები

საქართველოს პრეზიდენტის ინფორმაციით, შემუშავებულია დასაბუთებული პროგრამები გალის რაიონში, კოდორის ხეობაში, ცხინვალის რეგიონში და სხვა ტერიტორიებზე სამშვიდობო, ეკონომიკური და სოციალისტური მისიის განხორციელებისათვის. მისივე თქმით, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკის რეაბილიტაციისათვის საჭიროა საერთაშორისო ფინანსური დახმარების ეფექტური გამოყენება. (გეა)

## „წმინდა ილია მართლის საზოგადოებას“ ეკლესიასთან რთული ურთიერთობა აქვს

ბლდანის ეკლესიის დევნილმა წინამძღვარმა ბასილ მკლავიშვილმა მწვალებლობასა და „წითელი სამღვდელოებისადმი“ სრულ მხარდაჭერაში დასდო ბრალი „წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ წევრს, ზაზა დავითაიას და შეაჩვენა იგი. დავითაიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პოლიტიკური კუთხით შეაფასა მკლავიშვილის ანათემა და განაცხადა, რომ ესაა მის წინააღმდეგ დაძრული კამპანია, რომელიც საკმაოდ ბინძურ ხასიათს ატარებს.

დავითაიას თქმით, საქართველოს პატრიარქი მართლმადიდებლური ეკლესიის დაქუცმაცების ინსპირატორია და ამას მკლავიშვილი-შეყლაშვილის წყალობით აწარმოებს.

„დღეს შევარდნაძე ფსევდოპოზიციაზე დაყრდნობით აქუცმაცებს საქართველოს, ხოლო წითელი სამღვდელოება, ილია II-ის ხელმძღვანელობით, ანგრევს ქართული ეკლესიის სიძლიერეს“ – განაცხადა დავითაიამ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ მასზე ფიზიკური ზემოქმედებაც კი მოახდინონ დაპირისპირებულმა ძალებმა. (გეა)

– ნოდარ ბატონო, ამ ქვეყნად უპირველესი, დამეთანხმებით, ზნეობაა ადამიანის ცხოვრებაში. წერილს, ანუ უსტარს თქვენთვის მორთმეულს ხელს თქვენთვის უკვე საკმაოდ კარგად (!) ნაცნობი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, გაზეთ „სტუდენტური პაემანის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (ასაკის მიუხედავად და ბევრის გასაკვირად!), თქვენგან საკმაოდ „პატივნაცემი" გიორგი მამაცაშვილი ვაწერ ხელს.

– გაზეთ „საქართველოს" 1997 წლის 1 დეკემბრის (№111) ნომერში გამოქვეყნდა ჩემი ფოტო თქვენს მიერ ფოტოკოლაჟად ქცეული ჩემთვის მეტად შეურაცხმყოფელი სათაურების გვერდით: „სატანა ეკლესიისკენაც მიიწევს" და „ზვიად გამსახურდიას მიერ ცეკაში გაგზავნილი დღემდე გამოუქვეყნებელი წერილი მამათმავლობის წინააღმდეგ – „თანამედროვე ბალთაზარ კოსა".

წერილების შინაარსზე თავად სათაურებიც მეტყველებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ფოტოკოლაჟზე, სადაც მე აშკარად ვეწინააღმდეგები ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას.

ღმერთმა დამიფაროს!

პირველივე დეკემბერს გესტუმრეთ რედაქციაში, მაგრამ არ დამხვდით... მეორე დღეს კი, უკვე თქვენივე ქარაგმებითა თუ დაშაქრული ბოდიშებით დაიმედებული წამოვედი, რომ შემდეგ ნომერში თქვენივე შეცდომას გამოასწორებდით და ჩვენს შორის გადებულ, გატეხილ ხიდს ერთმანეთის გვერდში დგომით ალვადგენდით.

„კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო" – ჩემზეა ნათქვამი. ორი კვირა ვითმინე თქვენი „ალვირახსნილობა" და სასაყვედუროდ თქვენსკენ წამოსული ადგილზევე გავშეშდი, როდესაც 15-17 დეკემბრის გაზეთ „საქართველოში" (№115) ხელმეორედ დავლანდე იგივე ფოტოკოლაჟი იგივე წარწერებითურთ. ეს უკვე შეგნებული და მიზანმიმართული გამოწვევა გახლდათ!

თქვენი „დაჭერა" შეუძლებელი გახდა და თქვენმა ღრმად პატივცემულმა მოადგილემ გელა ებანოიძემ კინაღამ ჩაილურის წყალი დაალევინა ჩემს აღშფოთებას. ცოტას გადავრჩი, გელას მუქარა – ასხლეტილმა ბოდიში არ მოვიხადე, არიქა, ჩემი ბრალია, უარესი მამათმავალი და ეშმაკი ვარ, რა რბილად დაგიწერიათ-მეთქი?!

მერე უკვე თქვენც გნახეთ და (გელა ებანოიძის მსგავსად!) თქვენ ახლა უკვე გელას შეაწმინდეთ ბინძური ხელები. გეკითხებით: რა შუაში ვარ მე?

– აღშფოთებულმა ბატონ ნოდარ ნათაძეს ვთხოვე შეხვედრა, რომელსაც გელა ებანოიძეც ესწრებოდა და რომელმაც აქეთ დამდო ბრალი, საპროტესტო წერილი რატომ არ მოიტანეო.

# შევარდნაძის გადამტერება გერჩივნოთ ჩემსას!

*უსტარი ესე გრიგალაშვილის გვარისას, „საქართველოს" რომ ედგა სათავეში საქართველოში.*

*გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქალალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება იმ პირობით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. (ილია)*

ეს ის პერიოდია, ნერვიულობის ნიადაგზე (თქვენივე მიზეზით!!!) ჩემმა მეულლემ ნაადრევად იმშობიარა და ნოდარ ნათაძის შეპირებულ „ამშაბათს გამოგიქვეყნებთ რედაქციის ბოდიშს"-ო, სიმართლე გითხრათ, არც დავლოდებივარ. მას შემდეგ დაუთვლელი შაბათი გავიდა... თუმცა, სად მეცალა დასათვლელად, ექიმებში დავრბოდი და პროცენტიან ვალს ვეძიებდი ახალი წლის დღეებში. ბატონ ნოდარს, თავისდაუნებურად, ტყუილი გამოუვიდა შეპირება! (ან ჩემს საპროტესტო წერილს ელოდებოდა?!). არადა, როგორც მოგახსენეთ, საპროტესტო წერილების საწერად ნამდვილად არ მეცალა, მევალეების სიის წერით ვიყავი გართული.

– თქვენს მოადგილეს ერთხელ ასეთი ფრაზაც კი უთხარით: „რა არის, კაცო, შევარდნაძე ხომ გადამკიდე და ახლა ამ კაცის გადაკიდებას მიპირებ?"

მართლაც, უნიკალური მოადგილე გყოლიათ, ნოდარ ბატონო. დაკიდების, გადაკიდებისა და თავისი ბინძური ხელების სხვაზე შეწმენდის ოსტატი. შეიძლება, თქვენ უარესიც ხართ, თორემ ასეთ კაცს მოადგილედ გააჩერებდით?

ჩვენი პირობა სამჯერ დაირღვა! აფთიაქში დღეს უკვე ჩამოწერილ საქონლად ჩათვლილ ბოდიშს დანაშაულიდან (!) თვენახევრის მერე იხდით და გავიწყდებათ, რომ დანაშაულს (!) ბოდიში კი არა, სასჯელი სჭირდება!

არადა, ნეტავ ბოდიშიც თქვენ მოგეხადათ, მაგასაც ხომ თქვენს მოადგილეს „სტენით".

არადა, თქვენი მოადგილე, რომელიც მე თქვენივე სიტყვებიდან გამომდინარე, უკვე მოხსნილი მეგონა (გაიხსენეთ ჩვენი საუბარი?), ასე მებაასება გაზეთ „საქართველოს" 17-20 იანვრის (№4) მეორე გვერდიდან, წერილში: „ბატონ გიორგი მამაცაშვილს":

„აღნიშნული ფოტო თავის დროზე მრავალგზის იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა გაზეთებში, როგორც განზოგადოებული მხატვრული ფოტომასალა". „გამოხდა ხანი და ზემოთხსენებულ სტატიასთან ამ ფოტოს მოთავსების გამო რედაქციაში აღშფოთებული მობრძანდით და..." „აღნიშნული სურათი რედაქციამ შეისყიდა ფოტოგრაფ ზ.დათუაშვილისაგან".

ზემოთაღნიშნულის წაკითხვის შემდეგ კითხვები დამებადა და იმედია, მიპასუხებთ:

1. დამისახელეთ გაზეთები, რომლებშიც იყო ეს ფოტო აღნიშნული სათაურებითა და კოლაჟით გამოქვეყნებული მრავალგზის?

2. თქვენი მოადგილე, დიდი ხანია, რაც ვერ არჩევს ფოტოსა და ფოტოკოლაჟს?

3. „გამოხდა ხანი", რომ მწერს, დროის შეგრძნებადაკარგულს რა უნდა რედაქციაში, მას-მედიის საგუშაგოზე?

4. „აღშფოთებულიო", რომ მეუბნება, აბა ნასიამოვნები მოვიდოდი თუ თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ – „ირონია – იუმორშეზავებული"?

5. კაცს ფოტოგრაფი და ფოტოხელოვანი ვერ გაურჩევია და რომელ „განზოგადოებულ მხატვრულ ფოტოზე მესაუბრება?

6. ან კიდევ, ზ.დათუაშვილი დღემდე უარყოფს, მე არ მიმიყიდიაო და დაესიზმრა ეს ებანოიძეს? (იქნებ, „ჟურნალისტურ ქურდობასთან" გვაქვს საქმე?).

– წერილის ბოლოში რომელ „პატივისცემაზე" მელაპარაკება თქვენი მოადგილე (თანაც „გულწრფელზე"?), სინდისი საერთოდ დაკარგა? ორი აგური უნდა ეჭიროს ხელში და მესამეს ეძებდეს... მისი უწინდელი მუქარა კი ავისხლიტე და ბუმერანგივით დაბრუნებას ელოდეთ მისას.

– „არა შეჯდა მწყერი ხესა..."

იმდენი ქენით, საპროტესტო წერილი მაინც დამაწერინეთ. რა გინდოდათ ჩემგან, კუთხეში ვიჯექი, ჩემთვის და მაწონს ვჭამდი... ისე კი, თქვენნაირებს არ ვმტრობ! მეცოდებიან! გული არ გაქვთ და იმიტომ!

თუ სილაჩრეს არ გამოიჩენთ, უახლოეს მომავალში პროცესზე გამოცხადდით, „სასამართლო პროცესი" რომ ჰქვია! მწყერი, თქვენგან განსხვავებით კი, უწყინარია!

ბატონო ნოდარ, ძალიან მალლა აფრენის ნებას ნუ მისცემთ მაგანთ, უცებ დაცემა და ტვინი თუ აქვს, მისი დანთხევა იცის ხოლმე...

– ორიოდე თვის წინ, ჩემივე გაზეთის მაკეტიდან თქვენი წიგნის რეკლამა ამოვილე (სურვილი მქონდა, კოლეგიალური გვერდში დგომა აღმომეჩინა თქვენთვის). არადა, წიგნს რას ვერჩი, ავტორისგან განსხვავებით, ხალხს არ ატყუებს და რაც მთავარია, კარგია! ახალ ნომერში („სტუდენტური" №1 – ავტ.) ნამდვილად იხილავთ თქვენივე წიგნის რეკლამას. ხოლო, თუ ჩემს კეთილშობილურ ჟესტს თქვენივე კეთილშობილური ჟესტი მოჰყვება თანხის გადახდისა, უარს ნამდვილად არ გეტყვით. დამატებითი ცნობებისათვის კი ჩემს მოადგილეს მიმართეთ!

არ მინდა მოგატყუოთ და ჩემს წერილს სიტყვა „პატივისცემით" მივაწერო. ამიტომ, უბრალოდ,

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ

P.S. წერილის გამოქვეყნებას, ნოდარ ბატონო, კატეგორიულად ვითხოვ თქვენგან, რომელმაც (ამ ბოლო დროს) ქართული პრესის კანონის შექმნაზე და ფიქრზე დახარჯეთ ენერგია. ანეგდოტების მოყოლას ძოძუაშვილზე, ომანიძეზე და სხვებზე საქმის კეთება სჯობია, მგონი. არ მინდოდა თქვენთან ასეთი ურთიერთობის დამყარება; ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ...

ამისთანა „რაღაც-რაღაცეებს" არავის არ ვპატიობ! თქვენ კიდევ წითელი კვერცხი ხომ არა ხართ?

P.S.2 ბატონო გელა ებანოიძევ! იწერებით: „მხატვრული ფოტოსა და მისი პროტოტიპის იდენტურობას მშობელი დედაც ვერ შეძლებს". გეტყობათ, დედა-შვილური გრძნობა არ განგიცდიათ, თორემ... დედაჩემს რა უჭირს, ერთადერთი ვყავარ და ადვილად ამოსაცნობი, ებანოიძეს კი არ ვგავარ!

დედებზე საუბარს შევეშვით, თორემ ვშიშობ, კიბეზე ჩამოჯდომამ და დედაზე სიმღერამ არ უწიოს ვინმეს... და საერთოდაც,...

„დოქსოპულო, შენ დედა გყავს?"

# ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

## ᲐᲜᲣ

## ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ზემოთ წარმოდგენილი წერილის დასტამბვა რამდენიმე დღით დავაგვიანე ერთადერთი მიზეზის გამო, არანაირად არ მსურდა მისი გაუზრდელი ავტორის გაუბედურება...

იყო კიდევ ერთი მომენტი, ჯანსულ ჩარკვიანის მაქსიმისა არ იყოს, – კიკას მოერევი თუ კიკა მოგერევა, სულ ერთია.

არა და არ მსურდა ამ ახალბედა უხამსს ავყოლოდი სხვა მიზეზთა გამოისობითაც:

წიგნიდან თუ არა, ფილმიდან მაინც ყველას გემახსოვრებათ, ჩიტირეკია ახალგაზრდის გამოწვევას თუ როგორ პასუხობს დათა ბატონი – ვერ გამოგყვები დუელში, რადგან ძალიან დიდი უპირატესობა მაქვს შენთან შედარებითო.

ის ანეკდოტიც ხელახლა წამომიტივტივდა გონებაში, ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების პანორამას რომ ასურათებს.

პატარა, ტილიანი მურთხი მიდის უფროსთან და „ეხვეწება", – ბიძია, მომეცი სამი მანეთი, თორემ გაგეხახუნები და ტილებს გადაგდებო...

აი, ასე მოიქცა ეს შერჩენებული მამაცაშვილია თუ ყაჩალაშვილი. ერთ უბედურ დღეს გამომეცხადა რედაქციაში და განმიცხადა: თქვენ რომ გაზეთში მაიმუნის სურათი გამოაქვეყნეთ, ის მაიმუნი მე ვარო.

როგორ გეკადრებათ, ბატონო, ამ ანგელოზივით ბიჭს მაიმუნს რა გიგავს-მეთქი, – შევკადრე...

გინდა თუ არა, მაიმუნი ვარო! – ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

შარი თუ გინდათ, ეს არის.

ახლაო, ჩემი ფოტოს გაზეთში გამოქვეყნებისათვის 2000 (ორი ათასი) დოლარი გადამიხადე, მერე მეც კარგად და შენც კარგადო...

მაშინღა მივხვდი, რა მიზნით ამტკიცებდა ეს ანგელოსივით ბიჭი, ამ მაიმუნის პროტოტიპი, გინდა თუ არა, მე გახლავართო.

გადამიხადე, თორემ გაგეხახუნებიო...

„გამეხახუნა" კიდეც: ერთი წერილი რედაქციაში შემოაფრინა და ჩემი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად – მის უბედურებაში ნუ გამრევდა – დაჟინებით მოითხოვა წერილის გამოქვეყნება.

მეორე კი – კრწანისის რაიონის სასამართლოში, ოღონდ იქ 2000 დოლარს კი არა, უკვე 10000 (ათი ათას ლარს) ითხოვს გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი მაიმუნის ფოტოპუბლიკაციისათვის.

ასე რომ, ერთობ უნიკალური პროცესის მომსწრე გახდება 10 თებერვალს, 11 საათზე კრწანისის სასამართლოში მიწვეული საზოგადოება.

მე უნდა ვამტკიცო, რომ ჩემი მომჩივანი მაიმუნი არ არის. მან კი 10000 ლარის დასათრევად უნდა წარმოადგინოს ცნობა, რომ „საქართველოში" გამოქვეყნებულ მაიმუნის ფოტოზე, რომელმაც ჩვენს პუბლიკაციამდე სხვა გაზეთის ფურცლები „დაამშვენა", სწორედ იგია წარმოდგენილი. ღმერთმა ნუ ქნას, პატივცემულმა მოსამართლემ მომჩივანის სასარგებლოდ გამოიტანოს განაჩენი. ეს განაჩენი ხომ ფაქტიურად მამაცაშვილის გამაიმუნებისათვის ოფიციალურად გაცემული ლიცენზია იქნება.

ყოველივე ზემოთქმული მამაცაშვილის წერილის მცირე კომენტარია, ვრცელ პასუხს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ამ პატარა თაღლითს ძალიან საწყალ და დაზარალებულ კაცად რომ მოაქვს თავი, თუ ახლავე არ დავსვამ თავის ადგილზე, ისე ჰყავს შეწუხებული და შეშინებული უნივერსიტეტიდან უფროსი კოლეგები, მალე დიდ თაღლითად მოგვევლინება.

აბა, როგორ ფიქრობთ, დღევანდელი დიდი თაღლითები, თავის დროზე პატარა დემაგოგები იყვნენ, პატრონი რომ ადრევე გამოსჩენოდათ, ქვეყანა ბევრ ჭირს გადარჩებოდა...

მომდევნო პუბლიკაციამდე,

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲬᲛᲘᲓᲐ ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი, ზაზა დავითაია „დევნილ პოლიტპარტიათა საკოორდინაციო საბჭოს" ლიდერს, ბორის კაკუბავას ბრალს სდებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან თამაზ ნადარეიშვილთან და ედუარდ შევარდნაძესთან ალიანსში.

„ნადარეიშვილი-კაკუბავა-ფაცაცია ერთი გუნდია, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის დაკარგვაში და ამ გუნდის სადავეები ხელში უჭირავს შევარდნაძეს" – აცხადებს დავითაია. მისივე თქმით, არაკანონიერ ხელისუფლებასთან ალიანსშია ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც მისი იუსტიციის საბჭოშია რეგისტრირებული. მათ შორის კი ასახელებს თითქმის ყველა ცნობილ პოლიტიკოსს: ირინა სარიშვილს, კაკო ასათიანს, თამარ ჩხეიძეს, მამუკა გიორგაძეს, ვახტანგ რჩეულიშვილს. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, დავითაიას თქმით, მან საქართველოს ისტორიაც კი არ იცის, რაც იმან დაადასტურა, რომ პრეზიდენტის იუბილეზე ვახტანგ რჩეულიშვილმა სამი სურათი: ჟორდანიას, გამსახურდიასი და შევარდნაძისა ერთმანეთის გვერდით გამოფინა.

„შევარდნაძე უკანონო პრეზიდენტია, ჟორდანიამდე რამიშვილი იყო, ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტი გამსახურდიაა. რჩეულიშვილს ურჩევნია ისტორია ისწავლოს" – აცხადებენ წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრები. დავითაიას თქმით, შევარდნაძე ალბათ მთელ ცხოვრებას დათმობს, ოღონდ პირველ პრეზიდენტად აღიარონ, თუმცა, საქმე ისაა, რომ მას არავინ აღიარებს კანონიერად.

შევარდნაძის შესახებ მათი სამომავლო პროგნოზი კი ასეთია: „მას მოუწევს ფილიპე მახარაძის ან სერგო ორჯონიკიძის ბედის გაზიარება, რომელთაც საქართველოში დამარხვაც კი არ ეღირსათ". (გეა)

## ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲐᲚᲣᲠᲘᲪᲮᲐᲕᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის თქმით, კორუფციასთან ბრძოლა მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1996-97 წლებში საქართველოში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტში ალურიცხავი ნაწილის ხვედრითი წილი 1/3-ზე მეტი იყო. პრეზიდენტის მონაცემებით კი, ეს ციფრი 45-50%-ს აღწევს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1996 წელს დსთ-ის ქვეყნებში ალურიცხავი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 70%.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში ალურიცხავი ფულის მასა 683 მლნ ლარის ეკვივალენტურია, ანუ მთლიანად ქვეყანაში არსებული ფულის მასაში 65% ალურიცხავია.

„ეს ცალკე სახელმწიფოა, რომელიც საკუთარი სასტიკი, მკაცრად ჩამოყალიბებული კანონებით ცხოვრობს" – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნოდარ წულეისკირი:*

# დღეს, როცა თითქმის ყველა გადამტრიალებელი და პუტჩისტი ციხეშია, თვითონვე აღიარებენ...



– თქვენ წინასწარ იცით, რასაც გიპასუხებთ: დღეს უკვე მე ვარ სამუზეუმო ექსპონანტი – თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კულტურის მინისტრი.

ახალგაზრდობის წლებში, გაჭირვებით, მალვით ვაღწევდით საიდუმლო ფონდებში, იქ დამოუკიდებელი საქართველოს დოკუმენტების თვალის შევლებაც კი საციხო საქმე იყო, დანაშაულად ითვლებოდა. აი, მაშინ მქონდა ნანახი: 1918 წ. დამოუკიდებლობის აქტს ერთი მწერალი აწერდა ხელს – გერონტი ქიქოძე კეთილი შურით მშურდა მისი, მაგრამ მაშინ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ამაზე...

მოვლენები ისე განვითარდა, რომ დამოუკიდებლობის აქტზეც მოვაწერე ხელი და პირველი კულტურის მინისტრიც გავხდი.

მწერლობამ მე ბევრი გამარჯვება, შემოქმედებითი სიხარული და მატერიალური კეთილდღეობაც კი მომიტანა. ეროვნულმა მოძრაობამ ხიფათი, დამარცხება, ტანჯვა-წამება და ბოლოს მატერიალური კატასტროფა, მაგრამ ეროვნულ მოძრაობაში ზ.გამსახურდიასა და მ.კოსტავას გვერდით ყოფნა ჩემი ბიოგრაფიის გვირგვინია, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებია.

*– მწერლის მიერ დახატული პიროვნება, მითუმეტეს, თუ იგი საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრეზიდენტია, მაინც სხვა არის. გვესაუბრეთ ზვიად გამსახურდიაზე!*

– თქვენ გინდათ, რომ ზ.გამსახურდია მე დავხატო ერთ ინტერვიუში? – ეს შეუძლებელია! გაზეთმა „თვალთაიმ" მთხოვა დამეწერა ბიოგრაფიული რომანი ზ.გამსახურდიაზე უარი ვუთხარი, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება-მეთქი, თანაც, მაშინ მანანა არჩვაძე ჩამოსული არ იყო. ასე მგონია, ამას მე დღესაც ვერ შევძლებ, თუნდაც მ.არჩვაძის კონსულტაციით. ზ.გამსახურდიაზე უკვე დაიწერა წიგნები და კიდევ არაერთი დაიწერება, სრულყოფილი ბიოგრაფიული რომანი მომავალში შეიქმნება ახალგაზრდების ხელით. საუბარი ზ.გამსახურდიაზე შემიძლია და შევეცდები თავშეკავებულად მოგითხროთ მასზე. თუმცა, მიჭირს თავშეკავება.

ზვიად გამსახურდია უნიკალური მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. საქართველოს ჰყოლია არაერთი დიდი მეფე, არაერთი დიდი პოეტი და მწერალი, არაერთი დიდი საზოგადო მოღვაწე. ზვიად გამსახურდია იყო სულ სხვა, ის იყო ერთი, ერთადერთი, ალბათ განუმეორებელიც. მას ვერავის შეადარებ წინაპართაგან. მანამდე საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი არ ჰყოლია, არც ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, ვისაც შეეძლო მხოლოდ სიტყვით დაერაზმა ქართველი ერი და გაემარჯვებინა.

გავიხსენოთ ზ.გამსახურდიას პოლიტიკური მიტინგები და სხვა დანარჩენი მიტინგები თუნდაც მთელს მსოფლიოში. ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში ისეთი მიტინგები იმართებოდა, გააუქმა ყრილობები, კონფერენციები, თათბირები, სხდომები, კინო-თეატრები, კონცერტები, ფეხბურთსაც კი წაართვა მაყურებელი. მიტინგისაკენ უფრო მიისწრაფოდა ახალგაზრდობა, ვიდრე უნივერსიტეტისაკენ. იქ ტრიბუნასთან იდგა ზ.გამსახურდია. რა ხიბლი ჰქონდა ზ.გამსახურდიასა და მის მიტინგს?

რა გასაოცარიც არ უნდა იყოს ზოგიერთი ჟურნალისტისთვის, ჰქონდა ეს ხიბლი მას! ჰყოფნიდა ერუდიცია, ბუნებრივი მონაცემები, მეტყველება, გარეგნობა, რაც მთავარია, ჰქონდა სათქმელი ხალხთან. იცოდა მასების ფსიქოლოგია და მონუსხული ჰყავდა მსმენელი. სხვათა შორის, წარმომავლობაც უწყობდა ხელს, სად გამსახურდია-ფალავანდიშვილის შთამომავალი და სად პავლიაშვილი!

თუ ხალხი სკანდირებდა „ზვიადი, ზვიადი!"... – არ უნდა გავლიზიანდეთ ამის გამო. „ვანო, ვანო!" – ხალხმა სკანდირება რომ დაიწყოს, ამას დიდი ღვაწლი და ჯაფა სჭირდება.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ჟურნალისტ ვ.პავლიაშვილის ინტერვიუებზე თუ ზ.გამსახურდია არ ვარგოდა, თუ მე არ ვვარგივარ, მ.მაჭავარიანი არ ვარგა, არ ვარგა ვ.ბოჭორიშვილი, რ.პეტრიაშვილი და სხვა ზვიადისტები, რატომ წუხდება პატივცემული პავლიაშვილი, რატომ იძლევა უამებ შეკითხვებს. რატომ ჩამოდის წერაქვში, მე მაინც ხომ არ ვეჩხირები თვალში.

სკანდალური ინტერვიუებით არ მოიპოვება სახელი და დიდება. შეიძლება დროებით მიიქციოთ საზოგადოების ყურადღება, მხოლოდ დროებით! ნამდვილი ჟურნალისტობა „მგზავრის წერილების" დაწერაა.

შესაძლებელია ადამიანმა ვერ შეაფასოს ახალი ისტორიული მოვლენა. მაგალითად, როცა ზ.გამსახურდიამ პირველი არალეგალური ჟურნალი „ოქროს საწმისი" გამოსცა, საზოგადოებამ ვერ შეაფასა, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ზოგმა საერთოდ არ წაიკითხა – სისულელედ მიიჩნია. ასეც უნდა მომხდარიყო! – დრო იყო ასეთი, საზოგადოება ასე იყო აღზრდილი.

დღეს, როცა ამღვრეულმა წყალმა ჩაიარა, ხომ ნათელია, ვინ მართლა იბრძოდა საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ვინ გაამარჯვებინა ქართველ ერს უსისხლოდ და ვინ ჩასცა ზურგში მახვილი. დღეს, როცა უკვე თითქმის ყველა გადამტრიალებელი და პუტჩისტი ციხეშია, თვითონვე აღიარებენ, რომ ზ.გამსახურდია და მისი ხელისუფლება იყო ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება და მათ, პუტჩისტებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, ჟურნალისტმა, ვინც წერა-კითხვა სამზე მაინც იცის, არ უნდა შეძლოს ამის გაგება? უკვე მომხდარი მოვლენა არ უნდა შეაფასოს?.. თუ ეს არ შეუძლია, თავი გაანებოს პროფესიას. არ შეიძლება უსასრულოდ ვკითხოთ ისეთი ინტერვიუები, როცა თავს ყველა უხერხულად გრძნობს – ზვიადისტიც და არაზვიადისტიც.

ზ.გამსახურდიას მოღვაწეობაზე აზრი რომ გამოთქვა, ერთი – ორი წიგნი მაინც უნდა გქონდეს წაკითხული, კეთილი სურვილები არ კმარა, არც შურითა და ბოღმით შეიძლება რაიმეს დაწერა, უბრალოდ დამაჯერებელი არ იქნება ის, რასაც დაწერ, – მკითხველამდე ის ვერ მიაღწევს. ტალახის სროლა ყველას შეუძლია და ყველას შეიძლება ესროლო, მაგრამ ყველას არ მოხვდება, უკან დაგიბრუნდება ბუმერანგივით.

ზ.გამსახურდია დიდი მამის ლიტერატურულ გმირებს უფრო ჰგავდა, ვიდრე უშუალოდ მამას. მისი ცხოვრება და მოღვაწეობაც ისე წარიმართა, როგორც ისტორიულ რომანებში იწყება, ვითარდება და მთავრდება. ზ.გამსახურდიას დრო შეაფასებს. დრო დაწერს მასზე წიგნებს. სულსწრაფი ნუ ვიქნებით, დროზე ადრე ხომ გამოვუტანეთ განაჩენი, მის ღვაწლს დროზე ადრე ნუ შევაფასებთ.

*– რატომ არის, რომ ზ.გამსახურდიას პიროვნებას მისი მოღვაწეობის ხანას აგრერიგად მისტირის საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი?*

– მართალი ბრძანდებით, უმეტესი ნაწილი მისტირის და არა მთელი საქართველო. დავაზუსტოთ ეს შეკითხვა: ზვიად გამსახურდიას მისტირის პატიოსანი საქართველო, შესაძლოა უმეტესი ნაწილიც არ არის, მაგრამ პატიოსანი საქართველოა!

საზარელმა თბილისურმა ომმა სრულიად, მთლიანად გამოავლინა საზოგადოებაში, რაც დამალული იყო წლების განმავლობაში – ავაზაკების საქართველო! ავაზაკების, ქურდების და ყაჩაღების საქართველო მკვეთრად დაუპირისპირდა დანარჩენ საქართველოს და დაამარცხა იგი. მათი ვინაობა თავისთავად საცნაური გახდა ერისა და ბერისათვის. ამიერიდან ხალხმა გაიგო ვინ ვინ არის – გამოაშკარავდა კრიმინალური საქართველო.

პატიოსანი საქართველო მისტირის ზ.გამსახურდიას, კრიმინალურ საქართველოს ზ.გამსახურდიას არ აინტერესებს. კრიმინალური საქართველო გამალებით იმის ცდაშია, თუ რამ კიდევ დარჩენილია, მიიტაცოს, სხვა საფიქრალი მას არასდროს ჰქონია და დღესაც არა აქვს.

*– ბატონო ნოდარ, მე თქვენი შემოქმედების დიდი მოყვარული გახლავართ, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მახსოვს „თუთარჩელათი" მოგვრილი საოცარი შთაბეჭდილება და პატარა „სისატურა" ჟრუანტელივით ახლაც რომ დამივლის ხოლმე.*

*გაქვთ თუ არა სკოლის დირექტორსა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს დრო, იფიქროთ და იმუშაოთ მხატვრულ ნაწარმოებზე, რაზე მუშაობთ?*

– დრო, მართალი გითხრათ, ცოტა მრჩება. სკოლას კი არა, ფიზიკურ მუშაობას მიაქვს დიდი დრო. მიუხედავად ამისა, „აფთრების" მეორე წიგნი როგორმე უნდა დავამთავრო.

*– თქვენს უამრავ თაყვანისმცემლებს ტყვიასავით ეძგერა ცნობა ქვეყნის დღევანდელი ფაქტიური მმართველისა – წიგნის გამოცემაში მოგეხმარათ მისი ფონდი და თვითონ. რას იტყვით ამაზე?*

– ამ შეკითხვას უკვე არაერთგზის გავეცი პასუხი. ეტყობა, გაზეთებს თქვენც არ კითხულობთ ჩემსავით, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ.

ერთმა ჩემმა ნათესავმა, ლიტერატურის მოყვარულმა, ქველმოქმედმა ადამიანმა გადაწყვიტა განსაცდელში ჩავარდნილ ჩემს ოჯახს დახმარებოდა და შემოგვთავაზა წიგნის გამოცემა. მაშინ მზად მქონდა გამოსაცემად „აფთრების" პირველი წიგნი. მე ამ წიგნს არავინ გამომიცემდა. მოგეხსენებათ, ზვიადისტებს გამომცემლობა არა აქვთ. ჩემმა ნათესავმა წიგნი წაიღო იქ, სადაც ნაცნობი ჰყავდა, ეს გამომცემლობა აღმოჩნდა „სამშობლო", გამომცემლობის მესვეურები ძალიან დაინტერესდნენ წიგნის შინაარსით, ვინაიდან ამ წიგნს სკანდალური ისტორია ჰქონდა. წიგნის სიუჟეტი საფუძვლად ედო თ.აბულაძის გახმაურებულ ფილმს „მონანიებას". მაშასადამე, ეს არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი წიგნი, ამიტომ, როგორც ჩანს, საჭირო შეიქმნა პრეზიდენტის აზრი და მას აცნობეს ამის თაობაზე. პრეზიდენტმა „აღადგინა სამართლიანობა" (მისი სიტყვებია!) და წიგნს გზა მისცა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფილმის ერთ-ერთი ავტორი მეც ვარ. კაგებეს შიშით, თავის დროზე ტიტრებში არ დაწერეს ჩემი გვარი და დღემდე ეს ასე გრძელდება. აი, ეს სამართლიანობა აღადგინა! ეს ამბავი რატომ უნდა „გვეძგეროს ტყვიასავით?.." გამოვიდა წიგნი, სამი ათასიანი ტირაჟით, არ გაიყიდა, საქართველოში არ აღმოჩნდა თუნდაც ათასი ზვიადისტი, ვინც ჩემს წიგნს იყიდიდა, და – ეს არავის ეძგერა ტყვიასავით.

არავის ვადანაშაულებ, მე თვითონ ვერ ვყიდულობ წიგნს, ჩვენ ხალხს პურის ფული არა აქვს... წიგნს, თუნდაც ქველმოქმედებისათვის, ვერ იყიდის, მაგრამ ტყვიასავითაც არ უნდა გვეძგეროს სხვათა ქველმოქმედება.

*– მიუხედავად თბილისში არცთუ ხშირი მიმოსვლისა, გაქვთ თუ არა ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირი, მათთან ერთად რას ფიქრობთ ეროვნული მოძრაობის აგრერიგად დაქსაქსვაზე?*

ნ.წ. – ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირი არა მაქვს. თვითონ თუ მომძებნიან ხანდახან, შემთხვევით გზაში თუ შევხვდებით, სხვა კავშირი არა მაქვს. არ არის დრო, შესაძლებლობა. რაც შეეხება „დაქსაქსვას", ეს საერთო ქართული უბედურებაა. თქვენ გგონიათ, შევარდნაძისტები არ არიან დაქსაქსულნი? – ერთი დღით მოაშორეთ პოლიცია, არევ-დარევას და დაქსაქსვას მაშინ ვნახავთ! ყველა პარტია ასეა. ერთად ყოფნა არ შეგვიძლია.

*– მობრუნდება თუ არა 1990–1991 წლების ზეობა საქართველოში და რა გზით?*

– უსათუოდ, ოღონდ დრო უნდა. გზა ეროვნულ მოძრაობას ერთი აქვს, ეს არის ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას გზა, სხვა გზა მე არ ვიცი. არ გამოვრიცხავ, შეიძლება არის კიდევ სხვა გზა, ჩემთვის უცნობია ასეთი გზის არსებობა.

თვითონ ზ.გამსახურდიამ გაგვცა ამ კითხვაზე პასუხი, როცა მან ვაკის პარკში, ერთ-ერთ საუკეთესო მიტინგზე ქართველებს ეროვნული მოძრაობის ორი გზა დაუხატა: ქრისტეს გზა, ბარაბას გზა! ქრისტეს გზა არის სწორედ ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასი და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის გზა. ამ გზით უნდა მოხდეს ეროვნული მოძრაობის ზეობა. მაგრამ ამისთვის თაობები უნდა აღიზარდონ. ახალი თაობა უნდა მოვიდეს, ზნეობრივი თაობა. ქრისტეს გზას ვერ დაადგება უზნეო კაცი. არ შეიძლება ქურდი იყო და ამავე დროს პატრიოტიც იყო, არ შეიძლება ცუღლუტი იყო, მატყუარა და ამავე დროს ილია ჭავჭავაძეც იყო. „მერე მე არაფერი მამივა" – კაციც იყო და მერაბ კოსტავაც იყო. ზნეობრივად სრულყოფილი ახალგაზრდები როცა მოვლენ ეროვნულ მოძრაობაში, როცა ეროვნული მოძრაობა ხელახლა დაიბადება, ზეობაც მაშინ დაიწყება.

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო" №8

**• მწერლობა •**

# კარდუ

## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

### «ჰუნგერჰიუგელ»

ჩვენ გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოთ ამ საქმეს და დაეხმაროთ გრიგოლ რობაქიძეს და მის ცოლს, რომელიც პროპილეა-გამომცემლობის მწერალია, მისი და მისი ოჯახის დამცველი უცხოელის პასპორტის მიღებაში. გრიგოლ რობაქიძის ჩვენს გამომცემლობაში გამოქვეყნებულ წიგნების პროსპექტი თან ახლავს წერილს. ჩვენ მზად ვართ გაახლოთ წიგნებიც, თუ ამის სურვილი გექნებათ".

შუამდგომლობები იწერება, მაგრამ ხელისუფლება, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ხელისუფლებას თავის მიზანი აქვს და იმის შესაბამისად იქცევა. მართალია, გრიგოლ რობაქიძე ანტიბოლშევიკურად განწყობილი კაცი იყო, მაგრამ მაინც სსრკ-დან ჩასული ნაცისტურ გერმანიაში. სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. უმჯობესი იყო ეს უცხოელი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდათ. მისი საქმიანობიდან არაფერი გამოჰპარვოდათ. ამიტომ დარილი მაინც დაუნიშნა გესტაპომ 1941 წლის ივლისიდან. მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე, გერმანიის დამარცხებამდე და ნაცისტური რეჟიმის დამხობამდე გრძელდებოდა ეს. მერე დემოკრატებმა დაუწყეს თვალთვალი – „ადოლფ ჰიტლერი" და „მუსოლინი" რატომ დაწერაო. ხელისუფლება ხელისუფლებაა, გინდ დიქტატორული იყოს იგი და გინდა დემოკრატიული. სხვის სულში თუ არ ჩაიხედა, სხვის საწოლში თუ არ შეიხედა, ვერ მოისვენებს, თავს მშვიდად ვერ იგრძნობს. გამარჯვებული „დემოკრატია" ისევე დასდევს ჩუმ-ჩუმად თავის მოქალაქეებს და თვალს არ აცილებს, როგორც გამარჯვებული „დიქტატურა". საიდუმლო პოლიციის თვალი გრიგოლ რობაქიძეს არ მოშორებია არც ბოლშევიკურ-კომუნისტურ სსრკ-ში, არც ნაცისტურ გერმანიაში და არც დემოკრატიულ ევროპაში.

შემოქმედებითი კუთხით მეტად ნაყოფიერი იყო გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება გერმანიაში. 1931–45 წლებში გამოაქვეყნა მან გერმანულად „მეგი", „ჩაკლული სული", „ქალღმერთის ძახილი", „გრაალის მცველნი", „დემონი და მითოსი", „ადოლფ ჰიტლერი", „მუსოლინი", ბევრი საგაზეთო წერილი. დაწერა ლექსები – „ჟანა დ'არკ", „ჰიმნი ორფეოსს", „მწყემსთა ღმერთი", „მომაკვდავი არწივი", რომელთაც მწერლის შემოქმედებაში არსებითი ადგილი უჭირავთ. ლექციაც მრავლად წაუკითხავს და რადიოთიც ხშირად გამოსულა. გერმანულ ლიტერატურულ სალონებშიც საქმიანობდა, განსაკუთრებით „ჰუნგერჰიუგელში".

ლიტერატურული სალონი „ჰუნგერჰიუგელი" ბრუნო გოეტცის თაოსნობით შექმნილი მწერალთა წრე იყო. როგორც მემუარისტები წერენ, ბრუნო გოეტცი იყო „ჰუნგერჰიუგელის" სული და გული, მოტორი და მენტორი. უამრავი ხალხი იყრიდა აქ თავს. იყო სჯა-ბაასი, პაექრობა, კამათი, ახალ თხზულებათა კითხვა. უსმენდნენ მუსიკას. ცეკვავდნენ. „ჰუნგერჰიუგელში" გატარებულ წლებს „ოქროს ოცი წელიწადი" უწოდა ამ სალონის ერთ-ერთმა წევრმა ლოტე შიუნემან-კილიანმა. გრიგოლ რობაქიძეც ბევრჯერ ყოფილა ამ სალონში. თავის თხზულებანიც წაუკითხავს. სხვების მოუსმენია. დავა-კამათშიც ენერგიულად ჩაბმულა.

კეტე იუნგი იხსენებს:

ბრუნო და ლიზო ორ ოთახში ცხოვრობდნენ, პირველ სართულზე. ბრუნოს ოთახი გრძელზე გრძელი იყო, თუთუნის ბოლით გაჟღენთილი და ჩაბნელებული, მაგრამ საოცარი მყუდროებით სავსე. საღამოობით ვისხედით ამ ოთახში ფეხმორთხმით იატაკზე, ბალიშებზე, ლეიბებზე. ბრუნოს კითხვას ვუსმენდით. მარტო საკუთარ თხზულებებს არ გვაცნობდა იგი. განსაკუთრებით ძვირფასი იყო ის, რომ სხვა სახელოვან მწერლებთან გვაახლოებდა. ჩვენ, მაშინ ახალგაზრდები, ან სულ არ ვიცნობდით მათ ან ზერელედ თუ გაგვეგონა რამე. რეგულარულად ეწყობოდა ლეოპოლდ ციგლერის საღამოები, გრიგოლ რობაქიძის პოეტური ლექციები. გვიან ღამემდი ვრჩებოდით, ვწრუპავდით ჩაის, ვეწეოდით სიგარეტს და ვკამათობდით დაუსრულებლად. ღრმად და სამუდამოდ გვებეჭდებოდა თავში ის, რასაც იქ ვისმენდით. ცოლ-ქმარი გოეტცები – ბრუნო და ლიზო – გვაძლევდა იმას, რაც დღესაც ცოცხალია ჩვენში.

ლოტე შიუნემან-კილიანი გვიყვება:

სალონის უძველეს და მუდმივ წევრებს ეკუთვნოდა ქართველი გრიგოლ რობაქიძეც. იგი გაექცა კომუნიზმს და გერმანიაში იპოვნა მეორე სამშობლო. „ჩაკლულმა სულმა" იგი ერთი დარტყმით გახადა სახელგანთქმული. მის რომანებში – „მეგი", „გველის პერანგი", „ქალღმერთის ძახილი" – ცოცხლობს ჯადოსნური ქართული ლანდშაფტი და კულტურა. მას ხშირად ვხედავ მეგობრების ლეოპოლდ ციგლერის და ბრუნო გოეტცის წრეში. ვერ დაივიწყებთ მის ცეცხლოვან თვალებს. იგი მაგიურ ძალას ფლობდა. მისი სპილოსძვლისფერი სახე, კუპრივით შავი, მბრწყინავი პარიკი მალავდა მის ასაკს. მარჯვენა ხელში ეჭირა ქარვის კრიალოსანი და შეუჩერებლად მარცვლავდა. ჩვენ ხშირად ერთად ვბრუნდებოდით სალონიდან. ავდიოდით ლუციენგასეს კიბეებით და ობსერბრუნენთან ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. გამოთხოვებისას მეუბნებოდა – ნათლად იფიქრეთ ჩემზე („Denken Sie hell anmich ").

მანფრედ ბოში აჯამებდა:

თავისი ქართული სამშობლოს გასაბჭოებამ გრიგოლ რობაქიძე მგზნებარე ანტიბოლშევიკად აქცია. თავისი სიძულვილი წითელი მჩაგვრელების მიმართ მან უკვე 1931 წელს გამოხატა რომანში „ჩაკლული სული". „შენ, ალბათ, გაზეთებიდან შეიტყობდი, – წერდა იგი აღშფოთებული 1938 წელს ბერლინიდან ბრუნო გოეტცს, – რომ საქართველოში უკეთესი შემოქმედი ადამიანები სიკვდილით დასაჯეს – პროფესორი ელიავა, პოეტი ტაბიძე (ავალა!), რომანისტი ჯავახიშვილი, რეჟისორი ა.ახმეტელი (ჩემი „ლამარას" სცენაზე განმხორციელებელი) – ყველა ჩემი მეგობარი. მეც გამანადგურებდნენ. მოეღება ბოლო ამ სატანოკრატიას?"

სატანოკრატიის დამხობის იმედი გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მაშინ გაუჩნდათ, როცა გერმანია – სსრკ-ის ომი დაიწყო. ემიგრანტთა ერთი ჯგუფი სასტუმრო „ადლონში" შეკრებილა. საქართველოს გადარჩენისათვის მზრუნველი კომიტეტი ჩამოუყალიბებიათ. კომიტეტის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია აურჩევიათ, მდივნად – რაფიელ ივანიცკი-ინგილო. მისი წევრები ყოფილან შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, ლადო ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე, დავით ვაჩნაძე, კიტა ჩხენკელი, ალექსანდრე ასათიანი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა მაღლაკელიძე.

მართალია, ქართველ ემიგრანტთა როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ-სამხედრო საქმიანობაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ყველაფერი შესწავლილი და დადგენილი მაინც არ არის. ამას დიდი დრო სჭირდებოდა. ყველა გადარჩენილი დოკუმენტის მოძებნა, თავმოყრა, შესწავლა-გაანალიზებაა აუცილებელი. სხვაგვარად ვერ მოვახერხებთ სიმართლის დადგენას. ქართველ ემიგრანტთა შესახებ მთებად აღმართულ ტყუილს ახალი დაემატება. საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება. სამწუხაროდ, არც „ადლონის" ჯგუფზე გვაქვს ნათელი წარმოდგენა – რას აკეთებდა, როგორ მოქმედებდა, რა ბედი ეწია მას. ერთადერთი, უტყუარად, ალბათ, იმის თქმა შეიძლება, რომ „ადლონის" ჯგუფიც იზიარებდა იმხანად გავრცელებულ საერთო აზრს: გერმანი-სსრკ-ის ომის წლებში ქართველ ემიგრანტებს გულხელდაკრეფილი ჯდომის უფლება არ ჰქონდათ. ტყვედჩავარდნილი უამრავი ქართველი ზრუნვას ითხოვდა. ალალბედზე [illegible] ვერ მიატოვებდი. უფრო რთული ამოცანაც იდგა: თუ გერმანელები კავკასიას დაიკავებდნენ, ქართველებს რა როლი ეკისრებოდათ? ყველას სწამდა, რომ საქართველოს ბედის გადაწყვეტაში მათი მონაწილეობა აუცილებელი იყო. ამისათვის ემზადებოდნენ.

ამ კუთხით არც გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობაზე ვიცით ბევრი, ვიცით მხოლოდ ის, რომ დადიოდა ქართველ ტყვეებთან. ეხმარებოდა. ამხნევებდა. მომავლის იმედს უნერგავდა.

დრო მიდიოდა. გერმანიის გამარჯვების იმედი თანდათან ქრებოდა. ემიგრანტთა მდგომარეობაც უფრო დუხჭირი ხდებოდა. ომის დროს ყველას უჭირს. მით უმეტეს, ემიგრანტს. არც გრიგოლ რობაქიძე ყოფილა გამონაკლისი. ისეთი გასაჭირი დასდგომია, რომ იძულებული გამხდარა 1944 წლის 20 ოქტომბერს, თხოვნით მიემართა, არც მეტი და არც ნაკლები, თვითონ ჰაინრიხ ჰიმლერისათვის.

„პატივცემულო რაიხსფიურერო და რაიხსმინისტრო!

არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის ჩემი სახელი. ამიტომ ჩემს თხოვნას ცოტა რამ უნდა წავუმძღვარო, ჩემი პიროვნების შესახებ.

1931 წლის დასაწყისში ჩამოვედი, ჩემ ოჯახთან ერთად, საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში და უკან აღარ დავბრუნებულვარ. მას შემდგომ რაიხში ვცხოვრობ და ვაგრძელებ ჩემს მწერლურ და გონებრივ საქმიანობას. გერმანულ ენაზე ჩემი ცხრა წიგნი გამოიცა. ერთი მათგანი უკვე 1928 წელს. ახალი ხელნაწერი უკვე მზადაა. მე ვარ წევრი რაიხსშრიფტტუმკამმერისა და ასევე ევროპის მწერალთა გაერთიანებისა. ჩემი მწერლობის მამოძრავებელი ძალა, რომელსაც სხვადასხვა დროს შინდაბრუნება ფესვებისაკენ – ეწოდა, გერმანულ არსთან ახლოა. ასე დავუნათესავდი სულიერად გერმანიას და მის მიწაზე მე დროებითი არა ვარ. ეს კავშირი შემდეგი ნაწერებით გამტკიცდა:

1. „ჩაკლული სული" (გამოიცა 1933 წ.)

აქ ლიტერატურულად პირველად მოხდა ცდა ბოლშევიკური კლიმატის გამოაშკარავებისა, რომელმაც ღვთიური ადამიანში თითქმის მოლეკულურ დონეზე გახრწნა. შემზარავი საჩვენებელი პროცესები, ეს საბოლოო სიმახინჯე იმ დაშლისა, ვფიქრობ ჩემს წიგნში ვიწინასწარმეტყველე და ამოვხსენი. ზოგი რამ ბოლშევიკებისაგან დათრგუნულ მასების ქცევაში, ომის დროს, რაც ევროპელებს მოულოდნელი და გამოუცნობი ეჩვენებათ, ასე მგონია, იმ შემეცნებით აიხსნება, რომელიც წიგნს საფუძვლად უდევს. წიგნს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. საბჭოებმა ამ წიგნის გამო ხალხის მტერი დამარქვეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნაციზმის დროს გერმანიის მწერალთა აკადემიის წევრთა ერთი ჯგუფი.
სხედან მარცხნიდან მარჯვნივ – ვერნერ ბოიმელბურგ, ჰანს ფრიდრიხ ბლუნკ, აგნეს მიგელ, ჰანს იოსტ (თავმჯდომარე), ემილ შტრაუს, რუდოლფ გეორგ ბინდინგ.
დგანან მარცხნიდან მარჯვნივ – ვილ ვესპერ, ბორის ფონ მიუნხჰაუზენ, ჰანს გრიმ, ერვინ გვიდო კოლბენჰაიერ, ვილჰელმ შეფერ.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №109-119 1997წ, №1-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДОКЛАД

# ГРУЗИНО-АБХАЗСКИЙ КОНФЛИКТ:

## Москве следует пересмотреть

# „ნეზავისიმაია გაზეტა“-ს მორიგი, ანტიქართული პასკვილი

წარსული საუკუნის ძველი, ამყრალებული ფინთიხით გატენილი იარაღი გვესროლა ამას წინათ რუსეთის „ნეზავისიმაია გაზეტამ“, რომელსაც ქართველი ხალხის ლანძღვა-გინებით არაერთხელ გამოუჩენია თავი. გაზეთი, რომელსაც ჩვენს მიმართ ვითომც მეგობრობის სურვილები ამოძრავებს, დრო და დრო გვმოძღვრავს, ჭკუას გვასწავლის, თან ისე, რომ მონდომებული უბერავს აბრიალებულ ხანძარს – ვაი, თუ მართლა ჩაქრეს!

მკითხველს არ დასჭირდება გონების დიდი დაძაბვა, რომ მიხვდეს, რომელ ხანძარზეა ლაპარაკი – რუსულმა პროპაგანდამ ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტად რომ მონათლა, ხოლო შემდგომ ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოთა შორის, ქართველთა მხრიდან წარმოებული უსამართლო ომის საბურველით წარმოგვიდგინა. ყოველი სისაძაგლის თავის მომბმელმა „ნეზავისიმაია გაზეტამ“ ამ აბდა-უბდას ასეთი ქუდი დაჰხურა –„მოხსენება. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი. მოსკოვმა უნდა გადასინჯოს თავისი სტრატეგიული პრიორიტეტები“. (იხ. „Независимая газета“, 1998 г. №1).

როგორც ნახეთ, ეს მასალა „მოხსენება“ ყოფილა, რომელიც მომზადებულია დსთ ქვეყნების კავკასიის ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ, ხოლო თუ რა სტრატეგიული პრიორიტეტები უნდა გადასინჯოს მოსკოვმა, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

მაშ ასე, „ისტორიული ცნობა“. ქვესათაურით იწყებს გაზეთი. „მოხსენებაში“ ახალი აღმოჩენა დიდი ამბით შემოგვთავაზეს „სპეციალისტებმა“: „რუსული მასობრივი ცნობიერების სტერეოტიპებით კავკასიის ხალხები, კერძოდ კი ქართველები და აფხაზები, აღიქმება, როგორც რაღაც ტოტალური, დაუნაწევრებელი და განურჩეველი ეთნოკულტურული ერთიანობა“. მადლობა ღმერთს! ძლივს ფარდა აეხადა მოსკოვში ყველა შავგვრემანს რატომ ეძახიან „კავკასიური ეროვნების პირს“. რაკი რუსული მასობრივი ცნობიერება კარგა სიმაღლიდან ზემოდან ქვემოთ დაგვცქერის, ცხადია, კავკასიის ერთა შორის განსხვავებას ვერ შეამჩნევს.

ამ „სპეციალისტებს“ ჩვენს ისტორიაში რომ ჩაუხედიათ, აღმოუჩენიათ – ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის არავითარი ნათესაობა არ ყოფილა, ენაც ურთიერთგაუგებარი ჰქონიათ და ეთნიკური მენტალიტეტიც რკინის ფარდით ჩახერგილი. აფხაზეთი ქრისტიანული ქვეყანა ყოფილა, აღმოაჩინეს მოსკოვის სტრატეგიული პრიორიტეტი „სპეციალისტებმა“, თუმცა, ბოლო დროს ისლამმა ცოტა შეავიწროვაო. ეს ქრისტიანი ქვეყანა დიდი დამპყრობელი ყოფილა, შემოუერთებია დაქუცმაცებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიწები, რითაც საფუძველი ჩაუყრია მომავალი ქართული სამეფოსათვის. „დამარცხებულ საქართველოს“ (!) დაუყოვნებლივ მოუსპია აფხაზ მეფეთა ეროვნული დინასტია და ბაგრატიონები გაუმეფებია. ამ აბდა-უბდას „სპეციალისტები“ მოსკოვის ახალი სტრატეგიული პრიორიტეტისკენ მიჰყავს – რუსეთის კავკასიის საზღვრებისაკენ მიწოლის ახალი მიზიდულობის ძალა გაუჩენია მონღოლთა შემოსევის შემდეგ „თავის თავს მიკუთვნებული“ აფხაზებისათვის. მოწყალე რუსეთის იმპერიას მიუერთებია აფხაზეთი, თანაც ისე, რომ იმყოფება უმაღლეს მფარველობაში სახელმწიფოს და რუსეთის იმპერიისა... მთელი ძალით, ეს ყველა დროში დაურღვეველია“. მოსკოვის ეს „მიზიდულობა“, თურმე, აფხაზეთისათვის სამარადისო ყოფილა– რით არ არის ეს მოსკოვისათვის ახალი სტრატეგიული პრიორიტეტი?

„სპეციალისტები“ გვაუწყებენ: აფხაზეთის შეერთება რუსეთთან აფხაზეთისათვის ძალიან სასარგებლო იყოო, მაგრამ მოუკიდიათ თუ არა რუსებს ფეხი კავკასიაში, თვალში არ მოსვლიათ დაუმორჩილებელი მთიელები და ცოტა „გაუმკაცრებიათ“ ზომები. ამას შეუშინებია აფხაზები და „ხალხის ნახევარი გაქცეულა თურქეთში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც აფხაზეთის დიდი დიასპორები დაფუძნებულა. აი, რა ყოფილა ეს გაქცევა – აფხაზურად „მაჰაჯირობა“, არა მასობრივი გაწყვეტა ხალხისა, არამედ სხვა ქვეყნებში მასობრივი დაფუძნება. როგორც კი მაჰაჯირობამ დააცარიელა აფხაზეთის მიწები, – გვაწვდიან ახალ დებულებას „სპეციალისტები“, აქაურ მიწებს შესევიან თავიანთი ქვეყნებიდან გამოქცეული ხალხები: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები და სხვები და პრაქტიკულად მონოეთნიკური აფხაზეთი გადაუქცევიათ მრავალეროვნულ მრავალენიან მხარედ. „სპეციალისტები“ გონებამახვილურად ასკვნიან, რომ მაჰაჯირობის შორეული შედეგი ყოფილა ის ეთნოკონფლიქტები და საომარი შეტაკებანი, რაც აფხაზეთში მეოცე საუკუნის ბოლოს მოხდა. როცა რუსეთის იმპერია დაიშალა, მერე გაძლიერებულა ქართველების ტერიტორიულ, და პოლიტიკური სწრაფვა აფხაზეთისაკენ. შემდეგში დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკას ჯარებიც კი შეუყვანია აფხაზეთში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ბოლო მოღებია ქართველობის ყოფნას აფხაზეთში. მაგრამ შემდეგ იძულებული გამხდარა აფხაზეთი „სამოკავშირეო ხელშეკრულება“ დაედო საქართველოს სსრ-სთან ავტონომიის უფლებით.

„ნეზავისიმაია გაზეტას“ „სპეციალისტები“ ღრმა ფსიქოლოგიურ წიაღსვლებსაც აკეთებენ, როცა ამბობენ, რომ „აფხაზები ფსიქოლოგიურად ძალზე ნეგატიურად აღიქვამენ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას“, რადგან თბილისს რეპრესიული პოლიტიკა განუხორციელებია აფხაზეთის ხალხისა და მისი კულტურის მიმართ, სტალინის რეპრესიებს (თითქოს სტალინი თბილისის წარმომადგენელი იყო!) მთლად მოუღია ბოლო აფხაზეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისათვის. ამის შემდეგ ასიმილაცია ისე გაძლიერებულა, რომ აფხაზური დამწერლობა ქართული გრაფიკული გამოსახულების საფუძველზე შეუცვლიათ (სად ჰქონდათ, რომ ვინმეს შეეცვალა?!), ასევე აფხაზური ტოპონიმები ქართულად გადაუკეთებიათ საქართველოში სპეციალურად შეუქმნიათ Грузпереселенстрой მდიდარი ბიუჯეტით და იმდენი ქართველი ჩაუსახლებიათ, ძალზე გადაუჭარბებიათ აფხაზეთის მოსახლეობისათვის. ქართველიზაციის ეს პოლიტიკა იდეოლოგიურად უზრუნველუყვიათ ქართველ ისტორიკოსებს, რომლებსაცა აფხაზეთი გამოუცხადებიათ საქართველოს უძველეს ნაწილად, ხოლო აფხაზები ერთ-ერთ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფად.

ყოველივე ამის შემდეგ ცრუპენტელა „სპეციალისტები“ გულისამაჩუყებლად მოგვითხრობენ, ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული რა დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლას. მართავდნენ მასობრივ დემონსტრაციებსა და მიტინგებს 1957, 1964, 1967, 1979 წლებში, რსფსრ-ში შესასვლელად, ბოლოს და ბოლოს აფხაზეთს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი რომ მაინც მისცემოდა. ამ „გაურკვეველმა“ მდგომარეობამ გამოიწვია პირველი სისხლიანი შეტაკება ქართველებთან, რომელშიც 19 კაცი დაიღუპა. ამის შემდეგ დაძაბულობა არ შენელებულა. კონფრონტაცია კიდევ უფრო გაამწვავა კონსტიტუციურმა დავამ, ხოლო გამსახურდიას რეჟიმის დამყარების შემდეგ, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შოვინისტური და უნიტარული ტენდენციები გაიზარდა. ამასობაში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ტ. შამბამ გამოაქვეყნა საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროექტი, სადაც საქართველო და აფხაზეთი მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც ორი სუვერენული სახელმწიფო. ამ პროექტის განხილვა უნდა შემდგარიყო 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, მაგრამ ამავე დღის გამთენიისას ქართულმა ჯარმა გადალახა ინგური და უკვე შუადღისას სოხუმში შევიდა. აფხაზეთის მთავრობა და უმაღლესი საბჭო იძულებული გახდნენ გუდაუთაში გადასულიყვნენ. „მოხსენების“ შემდგომ თავში „ომი“ მოთხრობილია აფხაზ-ქართველთა ომის პერიპეტიები. აფხაზები უმაგალითო მამაცობით ეკვეთნენ ქართველებს, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე, რის შედეგადაც სოხუმი დაეცა და „იქ მყოფმა ედუარდ შევარდნაძემ გაქცევით უშველა თავს“.

რას ფიქრობთ, მკითხველო, სად არის ამ დროს რუსეთი და რას აკეთებს? „ნეზავისიმაია გაზეტას“ „სპეციალისტები“ გვამშვიდებენ: „განწირულმა ვითარებამ, რომელშიც აღმოჩნდნენ ქართველი მებრძოლები, რუსეთის მთავრობა იძულებული გახადა ზემოქმედება მოეხდინა აფხაზეთის მხარეზე, რომ შეწყვეტილიყო ცეცხლი“.

განა, დასაფასებელი არ არის „სპეციალისტების“ ასეთი სტრატეგიული პრიორიტეტული აღმოჩენა, რუსეთი რომ მამა აბრამის კრავი ყოფილა ამ კონფლიქტში?!

შეწყდა ომი და დაიწყო ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები, – გვაუწყებენ „სპეციალისტები“, რომელმაც პოზიციების მკვეთრი სხვაობის გამო საბოლოოდ არავითარი შედეგი არ გამოიღო. „მკაცრი მოთხოვნები, რომლებიც შევარდნაძემ წაუყენა რუსეთის მხარეს დსთ ქვეყნების მეთაურთა კიშინოვის შეხვედრაზე (ოქტომბერი, 1997 წ.) მოწმობს, რომ ქართველი პრეზიდენტი დემონსტრატიულად გაემიჯნა მოწესრიგების იმ გზებს, რომლებსაც რუსეთი სთავაზობდა“. შემდეგ „სპეციალისტები“ გვაუწყებენ, რომ ისევ გამოცოცხლდა ჟენევის მოლაპარაკება, სადაც შეიქმნა კოორდინაციული საბჭო პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტისათვის. პირველი სხდომის შემდგომი სხდომა არ გამართულა. მორიგი სხდომა, რომელიც აფხაზეთის მხარის წინადადებით უნდა მიძღვნოდა გალის რაიონში ტერორიზმის პრობლემას, ჯერჯერობით არ შემდგარა – გვაუწყებენ ყოვლისმცოდნე „სპეციალისტები“.

როცა მხარეთა პოზიციებს განიხილავენ, „ნეზავისიმაია გაზეტას „სპეციალისტები“ ავტორიტეტულად ასკვნიან, რომ საქართველოს დაჟინებით არ სურს „აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების გაჩაღებისათვის. მათ აკვირვებთ შევარდნაძის „ძლიერი“ (წინწკლები „სპეციალისტებისაა!) განცხადება, რომ ხდება „აგრესია საერთაშორისო ტერორიზმისა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ“. ეს „აგრესია“ – „სპეციალისტების“ აზრით – გახდა შემდგომი განცხადებების პროპაგანდისტული კლიშე, რის შესაბამისადაც ქართულმა მხარემ განაცხადა: „ომის შედეგები შეიძლება შეფასდეს როგორც ანექსია, ან ოკუპაცია საქართველოს უძველესი ტერიტორიის ნაწილისა“ – აფიქსირებენ „სპეციალისტები“, მაგრამ არ თვლიან საჭიროდ დააზუსტონ ვინ არის ეს „აგრესორი“. როგორც ჩანს, ეს უკვე აღარ განეკუთვნება მოსკოვის სტრატეგიულ პრიორიტეტთა კატეგორიას და ცოტა არ იყოს მოულოდნელად გულიც დასწვიათ „ყოფილი ჩეჩენი სეპარატისტები სასურველი სტუმრები გახდნენ საქართველოში, რათა აქტიურად გაითამაშონ ჩეჩნური კარტი რუსეთის შანტაჟირებისათვის“. ეს უკვე მოსკოვის სტრატეგიული პრიორიტეტის მიგნებული გასაღებია „სპეციალისტების“ ხელში.

შემდეგ „ნეზავისიმაია გაზეტას“ დაქირავებული „სპეციალისტები“ აფხაზეთის სახელმწიფო მოწყობის შესაძლო ფორმების შესახებ მსჯელობენ, რასაკვირველია, ამასთანავე ქართული მხარის უნიტარულობის და აგრესიულობის მხილებით და დაუფარავად მოსწონთ, რომ აფხაზეთის საზოგადოებრივ ცნობიერებასა და იდეოლოგიაში განმტკიცებულია თეზისი ომის სამამულო ხასიათის შესახებ, ომისა, რომელსაც ეწეოდა აფხაზი ხალხი ქართველი ოკუპანტების წინააღმდეგ. „ომი-დაასკვნიან „ნეზავისიმაია გაზეტას“



ეროვნული ბიბლიოთეკა

НГ-СОДРУЖЕСТВО №1, 1998, СТР.5

ДОКЛАД

# ПРОШЛОЕ, НАСТОЯЩЕЕ, БУДУЩЕЕ

## свои стратегические приоритеты

„სპეციალისტები", – დამთავრდა დამპყრობდა განდევნით, სამშობლოს განთავისუფლებით, გამარჯვებით ბრძოლაში, რომელშიც აფხაზეთმა დაიცვა თავისი უფლებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევისა".

აქედან ერთი ნაბიჯიც აღარ დარჩა „ლოგიკურ" დასკვნამდე, რომელსაც „სტრატეგიული პრიორიტეტების" მძებნელმა „სპეციალისტებმა" მიაგნეს: „იმისათვის, რომ გაამწვავონ სიტუაცია, თბილისი აშკარად ამაღლებს იმ პირთა საერთო რიცხვს, რომლებიც აღმოჩნდნენ იძულებით გადაადგილებულთა შორის". ახლა აღარ იტყვით ამ რიცხვის (ქართველების აზრით 300 ათასი ლტოლვილია, ხოლო აფხაზების – 219 ათასი) გაზრდა რისთვის ყოფილა საჭირო? „ლტოლვილთა რაოდენობა და მათი რიცხვის გაზრდა საქართველოს სჭირდება ჰუმანიტარული დახმარების მიღებისათვის დასავლეთისაგან, სხვადასხვა ფორმებში, მისი ბიუჯეტის ორი მესამედის სახით" მართლაც და დიდი ლოგიკური წიაღსვლებით მიაგნეს „სპეციალისტებმა" მოსკოვის კიდევ ერთ „სტრატეგიულ პრიორიტეტს".

მაძიებელმა „სპეციალისტებმა" ქართველების კიდევ ერთი დაფარული პრობლემა „ამხილეს": „თუმცა ყველა შეხვედრაზე დაუსახელებელი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი – თბილისს სურს სასწრაფოდ აღადგინოს ქართველთა ომამდელი დემოგრაფიული სიჭარბე აფხაზეთში, რაც შექმნის სოციალურ-ეთნიკურ დასაყრდენს საქართველოს იურისდიქციის აღდგენისათვის, რომლის მიღწევა მხოლოდ ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნების გზით არის შესაძლებელი. ლტოლვილთა ეტაპობრივი დაბრუნება ემუქრება მათ თანდათანობით ინტეგრაციას აფხაზურ სახელმწიფოებრივ სისტემაში.

სწორედ რომ საკვირველია საიდან აღმოაჩნდათ „სპეციალისტებს" დაუსახელებელი პრობლემის ინტუიტიური მოკვლევის შერლოკ ჰოლმსის უნარი?!

„მოხსენების" კავკასიის „სპეციალისტები" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა თანამეგობრობის და ჩრდილო კავკასიის დამოკიდებულებას აფხაზეთის პრობლემისადმი. დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობისათვის აფხაზურ-ქართული კონფლიქტი მათი მთავარი პოლიტიკური ინტერესების მიღმა რჩება, მაშინ როცა „ანტისეპარატისტული" დოკუმენტების მიღება ერთსულოვნად ხდებოდა. კონფლიქტის პრაქტიკული მოგვარება მხოლოდ რუსეთს ეკისრებოდა და დსთ-ს ქვეყნები ოდნავ სურვილსაც არ გამოთქვამდნენ მონაწილეობა მიეღოთ სამშვიდობო ოპერაციებში. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტის მოგვარებით უკრაინაა.

ორი დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოსა და უკრაინის მეგობრული ურთიერთობით



დაბოლმილ „მოხსენების" ავტორებს ეს ურთიერთობა პოლიტიკურ ალიანსად მიიჩნიათ. თითქოს, მათი „სტრატეგია" მიზნად ისახავს რეგიონში რუსეთის ფაქტორის შესუსტებას. ამ სტრატეგიულ თანამშრომლობას ჩარჩოებში უკრაინა მხარს უჭერს ყველა საგარეო პოლიტიკურ ინიციატივებს, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. ამასთან უკრაინამ გამოთქვა სურვილი შევიდეს „საქართველოს მეგობართა" ჯგუფში და მზადაა შეასრულოს შუამავლის როლი მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებზეო. „სპეციალისტების" აზრით ამ საქმეში უკრაინის შანსები ძალზე მცირეა. უკრაინაფილობის მიუხედავად ქართველ პოლიტიკოსებს კიევი თითქოს არ მიაჩნიათ ყველაზე უფრო მისაღებ კანდიდატად და მიზნად ისახავენ შუამავლის ინსტიტუტის ინტერნაციონალიზაციისათვისო. აი კიდევ რა სტრატეგიულ პრიორიტეტს მიაგნეს „მოხსენების" ავტორებმა: რუსეთი უნდა გახდეს პოსტსაბჭოური სივრცის კონსოლიდაციის ცენტრი!

„მოხსენების" ავტორები შეწუხებული არიან აფხაზურ-ქართული კონფლიქტის კომპლექსში ახალი საგარეო ფაქტორით – უკანასკნელ პერიოდში ჩეჩნეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებით, პარლამენტართა და სახელმწიფო ლიდერთა კონტაქტებით. და რომ ამ დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ ჩეჩნეთის ლიდერებმა დაგმეს აფხაზეთის მხარეზე ჩეჩენ მოსახლეთა მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ ომში. მეორე მხრივ ახალი ვითარების შესაბამისად შეიცვალა თვით ქართველ პოლიტიკოსთა პოზიცია. თუ ადრე საქართველოს ხელმძღვანელობა რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებზე ზეწოლას ახდენდა ლოზუნგით „რომ არ ყოფილიყო აფხაზეთი, არ იქნებოდა ჩეჩნეთი", ამჟამად კი ქართველი პოლიტიკოსები არსებით განსხვავებას ხედავენ ჩეჩნეთსა და აფხაზეთის სიტუაციებს შორის. „ჩეჩნეთი ისწრაფვის რუსეთისაგან გამოსვლას, ხოლო აფხაზეთს სურს შევიდეს რუსეთის ფედერაციაში". კავკასიის „სპეციალისტების" აზრით ქართველი პოლიტიკოსები ძალზე ნერვიულ და გაღიზიანებულ რეაგირებას ახდენენ აფხაზეთთან ყოველგვარ გარე კონტაქტებზე, მაგრამ თვითონ დიდი ხალისით მიდიან ჩეჩნეთთან პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მოითხოვენ სეპარატიზმის ერთობლივ და უსიტყვო დაგმობას, მაგრამ გროზნოს მიმართ ამჯობინებენ არ შეამჩნიონ აშკარა ანალოგია. უსაყვედურებენ დსთ-ს არაეფექტურობაში ამ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, თვით საქართველო კი თურმე, რომლის წევრიც თვითონაა, ძირს უთხრის თანამეგობრობის მეცადინეობას.

ამ შარლატან კავკასიის „სპეციალისტებს", როგორც ჩანს, მეხსიერება ღალატობთ ან შეგნებულად არ უნდათ გაითვალისწინონ ის ისტორიული ფაქტები, რომ აფხაზეთსა და ჩეჩნეთს შორის დიამეტრალური განსხვავებაა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ხოლო ჩეჩნეთი იმპერიულმა რუსეთმა იარაღით დაიპყრო, მოახდინა მისი ოკუპაცია, ანექსია და თავისი იმპერიული რუსული მმართველობა დაამყარა.

ამასთან „მოხსენების" ავტორები ყველგან ხმარობენ „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს", მაგრამ მათ შევახსენებთ, რომ აფხაზური სეპარატიზმის მართვის პოლიტიკური მექანიზმი იმპერიის ცენტრში არსებობდა და არსებობს. აქედან მოდიოდა და მოდის შორს გამიზნული ანტიქართული დირექტივები. აფხაზი მოსახლეობის მცირე ნაწილი მოატყუა არძინბას პოლიტიკურმა ხროვამ და ავანტიურაში ჩაითრია. იმპერიული „დემოკრატიული" თუ რეაქციული რუსეთი კვლავაც იყენებს თავისი „მთავარი არგუმენტების როლს" საქართველოს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, კვლავაც განუხრელად იცავს პრინციპს „გათიშე და იბატონე". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გ.ლორთქიფანიძე სამართლიანად წერდა: „...რუსეთის კაციჭამია შოვინიზმს მართლა ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური, აჭარული და სხვა ამისთანა ეროვნული მწერლობა და კულტურა შეექმნა, მისი სანუკვარი მიზანი იყო, რომ საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ოჯახში შინაგანი დაშლა, გახრწნა და აფორიაქება შეეტანა, ვინაიდან ყველა ხსენებული ტომები საქართველოში დიდი ხანია საერთო ქართული კულტურის ფერხულში არიან ჩაბმული. რუსულ პოლიციასა და რუსულ სინოდს ისევე ეზიზღებოდა აფხაზობა და ოსობა, როგორც ქართველობა და თუ ის დროებით „აფხაზურობდა" და მეოცე საუკუნეში აფხაზურსა და ოსურ სამწერლო კულტურის შექმნაზე „ზრუნავდა", ეს, რასაკვირველია, მხოლოდ დროებითი და პროვოკაციული ფანდი იყო საქართველოს არსებული კულტურის შესასუსტებლათა და დასაქცევათ და ეროვნული განთვისებისა და შულლის ჩამოსაგდებათ".

კ.ხატულინს, ამიგრანიანსა და არძინბას სხვა „მეგობრებს" კარგად მოეხსენებათ, რომ რუსეთში შემუშავებული სცენარით დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა განხორციელდა აფხაზი ანტიქართული ხროვის, რუსეთის რეაქციული ძალებისა და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ჩრდილო კავკასიის ე.წ. კონფედერაციის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. მსოფლიო უახლოეს პოლიტიკურ ისტორიაში არ მოიძებნება მსგავსი მზაკვრობის ბადალი.

„მოხსენების" არძინბას „მეგობრები" დაუფარავად აცხადებენ, რომ აფხაზეთში უარყოფითად და „იმედგაცრუებით თვალყურს ადევნებენ ჩეჩნეთ-საქართველოს დაახლოებას, გულცივად აღიქვამენ გროზნოს სამშვიდობო ინიციატივას. და თუ გროზნოს სამშვიდობო წინადადებები დაფიქსირდება საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში, მაშინ თურმე სოხუმი უსიტყვოდ უარყოფს მათ. „მოხსენების" საქართველოს დაუფარავი მტრები ქართველ ხალხს ემუქრებიან, რომ ამჟამადაც აფხაზურ-ქართული კონფლიქტის ზონაში სიტუაციის განვითარებას ჩრდილო კავკასიაში თვალყურს ადევნებენ და იქ თითქოს რუსეთის პოზიცია ძალზედ არადამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ. ეს აძლევს საბაბს მათ განაცხადონ, რომ რუსეთის „იმპერიული" არსი, კავკასიის მცირე ხალხებისადმი სიძულვილი არ შეცვლილაო და რომ მოსალოდნელია კავკასიის მეორე ომი და ა.შ. „სპეციალისტები" განაგრძობენ, რომ რუსეთის დასუსტება, მისთვის ჩრდილო კავკასიის ჩამოცილება, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი იქ პატარა სახელმწიფოების წარმოქმნა მახლობელი აღმოსავლეთის ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმითაა გათვალისწინებულიო. თითქოს უკანასკნელ პერიოდში ჩრდილო კავკასიის დედაქალაქებში ქართველ პარლამენტართა, კულტურული და სხვა დელეგაციების ჩასვლა, ქართული დიპლომატიური და ინფორმაციული არხებით ე.შევარდნაძის ინიციატივის – „მშვიდობიანი კავკასიისათვის ფართო პროპაგანდა ამ მიზანს ისახავსო. მაგრამ „მოხსენების" კავკასიის „სპეციალისტები" ქართველებს გვემუქრებიან, რომ უახლოეს მომავალში საქართველოსათვის მნიშვნელოვანია დარწმუნებული იყოს: აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემთხვევაში ჩეჩნეთის ზოგიერთი საველე მეთაურთა პირადი პოზიციის შესაბამისად შეიძლება აღმოჩნდნენ ფრონტის ხაზზე, ხოლო რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებს, პირველ რიგში კი ადიღეელებს და ჩერქეზებს, აფხაზეთის ხარჯზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბლოკირების ყველა შემთხვევაში ჩრდილო კავკასია სათანადო პასუხს გასცემსო.

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრები:

ვალერი ბენიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
შოთა თეთვაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
გივი მარუაშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გაგრძელება იქნება



## ღია წერილი ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ!

უპირველესად მოგესალმებით და გულახდილად მოგახსენებთ, რომ მე თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ. რეგულარულად ვიძენ მას, ვეცნობი მასში წარმოდგენილ მასალებს და მათ ჩემებურ ანალიზს ვუკეთებ. ყველა სტატიის ავტორის პოზიციას არ ვეთანხმები, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, გაზეთისადმი რომ დიდი პატივისცემა მქონდეს. რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით თქვენთანაც მქონდა სატელეფონო და პირისპირ საუბარი, ზოგჯერ ცხარეც, მაგრამ არც ამას მოუხდენია გავლენა მასზე, რომ ჩემთვის თქვენ ბრძანდებოდეთ კარგი ჟურნალისტი და რედაქტორი, უშიშარი და პირდაპირი ადამიანი.

ამიტომაც ვერ ავიტანე და შევითვისე თქვენი გაზეთის (№7/28–30 იანვარი) ფურცლებზე გამოქვეყნებული ბორის გოგიას სტატია „ჩქიმი ლავრენტი". წერილის ანოტაციაში გაზეთის რედაქცია აცხადებს, რომ „ამ წერილს მხოლოდ დემოკრატიული პრინციპებისადმი პატივისცემის ნიშნად ვაქვეყნებთ. ჩვენი მკითხველისათვის ცხადია, რომ ავტორის პოზიცია ჩვენსას რადიკალურად სცილდება"–ო, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, და აი რატომ. მოგეხსენებათ, ერთია არ დაეთანხმო სტატიაში გატარებულ აზრს და სულ სხვაა გაზეთში გამოქვეყნდეს ჰაიჰარად მომზადებული მასალა უამრავი სტილისტური შეცდომებით, დამახინჯებული და უგულველყოფილი ფაქტებით.

ახლა კი, ბატონო რედაქტორო, დამრთეთ ნება უშუალოდ სტატიის ავტორს მივმართო.

# აქა ამბავი იმისა, თუ როგორ დაურეკა სტალინმა ტუხაჩევსკის საიქიოში...

ბ–ნ ბორის, ბატონ ნოდარისადმი ჩემს მიერ გაგზავნილი ბარათიდან, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ საქმე ეხება თქვენს სტატიას. დასაწყისშივე პირუთვნელად გეტყვით, რომ ასეთი პრიმიტიული ქართულით დაწერილი და გაყალბებული ფაქტებით წარმოდგენილი მასალა დიდი ხანია არ წამიკითხავს. ეს რომ ასეა, ამას თანდათანობით გაჩვენებთ და დაგიდასტურებთ.

წერილის დასაწყისში თქვენ ბრძანებთ: „გავიხსენოთ, თუ როგორი სითბოთი ჟღერს სიმღერა: (აქ „ორ წერტილს" თქვენს მაგიერ მე დავუსვამ).

„მთაწმინდიდან მონაბერი ნიავი

დედაქალაქს გულში რომ ჩახვევია".
(აქაც წერტილი ჩემს მიერაა დასმული).

ან მეგრულ ენაზე:

და მოგაქვთ 19 სტრიქონიანი ლექსი – მეგრულად და ქართულად. შემდეგ კი აგრძელებთ:

„ყველას გვახსოვს ეს სიმღერები, მშობლები და მთელი საქართველო, მე პატარა ქართველის, სოსელო ჯუღაშვილის – ვარდს გაეფურჩქნა კოკორი და სხვა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე პატრიოტული ლექსებით, გვზრდიდნენ პატარებს. ვასილ ტვარდოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ – ხომ არ დავიწყებთ დღეს ცბიერებას? დიახ, ჩვენ ასეთი სულით გვზრდიდნენ და ხალხიც მართლა ასე მღეროდა გულწრფელად, აბა ხალხს ძალით ვერავინ ამღერებს და ისიც ასეთი სიყვარულით".

ავტორისეული სტილი მთლიანად დაცულია. ამისათვის და სასვენი ნიშნების უადგილოდ ხმარებისათვის და საჭიროდ არხმარებისათვის პატივცემულ მკითხველს ავტორის მაგიერ მე ვუხდი ბოდიშს. ხოლო სად არის ასეთი ლაფსუსები, ამას განათლებული მკითხველი ისედაც მიხვდება. მე კი აღნიშნულ აბზაცში წარმოდგენილ სხვა სიყალბეებზე მივაქცევ თქვენს ყურადღებას. პირველ რიგში, სხვის მაგიერ რატომ აცხადებთ, რომ „ყველას გვახსოვს ეს სიმღერები"–ო; გულახდილად გეტყვით და ტრაბახში ნუ ჩამითვლით, ორასზე მეტი ლექსი ვიცი ზეპირად, თქვენს მიერ წარმოჩენილი ლექსი კი პირველად წავიკითხე. ამას გარდა, რატომ გამოჰყავით ცალკე „თქვენი მშობლები და „მთელი საქართველო"?, ან რას ნიშნავს „სხვა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე პატრიოტული ლექსები"?, მართებულია – სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე სხვა პატრიოტული ლექსები. ასევე უხერხული და მიუღებელია გამოთქმა „სოსელო ჯუღაშვილი". ისე, როგორც მიუღებელია – ვარდს გაეფურჩქნა კოკორის და მე პატარა ქართველი ვარ–ს ბრჭყალების გარეშე წარმოდგენა. „სოსელო" იოსებ (სოსო) სტალინის ფსევდონიმია. აღნიშნული ფსევდონიმით გამოაქვეყნა სოსო ჯუღაშვილმა რამდენიმე ლექსი გაზეთ „ივერიაში". და კიდეც მინდა გკითხოთ, ვინ იყო ვასილ ტვარდოვსკი? თქვენს მიერ ციტირებული სტრიქონის ავტორია ცნობილი საბჭოთა პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი (1910–1971), რომლის კალამსაც ეკუთვნის პოემები „ვასილ ტიორკინი", „შორეთს იქითა შორეთი" და სხვა.

აღნიშნული პოემები ქართულ ენაზე დიდებულად აახმიანა ჩვენმა საყვარელმა პოეტმა ოთარ ჭელიძემ. მოდით მთლიანად გავიხსენოთ ეს სტროფი, რომელიც სტალინს ეძღვნება.

„მამას ვეძახდით თვითონ მამები,
ხომ არ დავიწყებთ დღეს ცბიერებას?
არა, არც მეტი და არც ნაკლები –
– ის ასე ახსოვს ქვეყნიერებას".

მაშ მეკითხებით, ვასილ ტვარდოვსკი რა შუაშია? შემდეგ, ბატონო ბორის, თქვენს სტატიაში ზოგადად წარმოაჩენთ, რომ „თავი იჩინა ზოგიერთი სამხედრო პირების – გენერლების შეთქმულებამ, თავგასულობამ და ზედმეტად გაყოყოჩებამ, ამაზე ლაპარაკი რუსებს მაშინ და დღესაც ძალზე სწყინთ და არ სურთ" (სტილი, რა თქმა უნდა, დაცულია): მაგალითისათვის მოგყავთ „ტუხაჩევსკის მედიდურობა, განზე გადგომა და რაღაც შეთქმულების მაგვარი ოპოზიციის შექმნა"... და სხვა. შემდეგ კი წერთ: „1941 წლის 21 ივნისს ომის დაწყების წინ რამოდენიმე საათით ადრე სპეციალური მაღალი სიხშირის „BR" სამთავრობო ტელეფონზე ურეკავს სტალინი ტუხაჩევსკის, რომელიც უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე განლაგებული უზარმაზარი არმიის მთავარსარდალი იყო და სთხოვს იყოს ფხიზლად და ჰქონდეს საომარ მზადყოფნაში ტექნიკა და ხალხი, რადგანაც 22 ივნისს უთენია მოსალოდნელია საზღვრის დარღვევა ან უფრო უარეს შემთხვევაში ომის დაწყება, მაგრამ ტუხაჩევსკი მასთან შეუთანხმებლად სტოვებს ნაწილს და ორმოცი კილომეტრის დაშორებით ესწრება კიევის ოპერის თეატრის გასტროლებს.

რასაკვირველია, თან გადააქვს სამთავრობო „BR" ტელეფონი, ხოლო ოპერის მსვლელობისას ისინი კარგად გამოთვრნენ და ნაბახუსევი გენერალი 1941 წლის 22 ივნისს ვერ შეხვდა ღირსეულად მტერს, რადგანაც საწყობებში და ანგარებში ჩაკეტილი იყო ტყვია–წამალი, თვითმფრინავები და მძიმე ტექნიკის დიდი ნაწილი, ამიტომაც მტერს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსმა მეომრებმა და გაიჟლიტა პირველსავე დღეებში უთვალავი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირი". (სტილი, რა თქმა უნდა, აქაც დაცულია).

იმდენი შეცდომა და შეუსაბამობაა ამ აბზაცში, რომ არ ვიცი, საიდან დავიწყო. დავიწყებ იქედან, რომ სამთავრობო ტელეფონს ალბათ „ВЧ" („ვეჩე") ერქვა და არა „BR". „ВЧ" – სამთავრობო ტელეფონს, რომელსაც სტალინი იყენებდა ეწოდება „Высокочастотный" – „მაღალი სიხშირის" – სატელეფონო კავშირი.

ამას გარდა საინტერესოა, სად ამოიკითხა ავტორმა, რომ ტუხაჩევსკი იყო „უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე განლაგებული უზარმაზარი არმიის მთავარსარდალი?!", მთავარსარდალი ყოველთვის ერთი ჰყავდა ყველა ქვეყანას და მათ შორის საბჭოთა კავშირსაც. დანარჩენები კი, სარდლები იყვნენ. საბჭოთა კავშირის მარშალი (1935 წ.) მიხეილ ტუხაჩევსკი გახლდათ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის I მოადგილე 1936 წლიდან. და კიდევ, ბატონო ბორის, თქვენ რომ ამბობთ, მტერს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსმა მეომრებმა"–ო (უნდა იყოს „ვერ გაუწიეს რუსმა მეომრებმა"), საიდან ასკვნით, რომ იმ საჯარისო ფორმირებებში მარტო რუსი ეროვნების მეომრები იყვნენ? ყველასათვის ცნობილია, რომ მტრის პირველ დარტყმებს მამაცურად შეხვდნენ უკრაინელებიც, ქართველებიც, ბელორუსებიც, უზბეკებიც და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცები – საბჭოთა მეომრები. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა,



ბევრი დაიჭრა, ნაწილიც ცოცხალი გადაურჩა გერმანელ ფაშისტთა ურდოების მოულოდნელ დარტყმებს. მაშ, რა შუაშია რუსი მეომრის ან დაკნინება, ან განდიდება?

ახლა კი მთავარ ლაფსუსს მივაპყრობ პატივცემული მკითხველის ყურადღებას. გთხოვთ თქვენც მომისმინოთ, ბატონ ბორის!

1941 წლის 21 ივნისს, ომის დაწყებიდან რამოდენიმე (ავტორისეული სიტყვაა) საათით ადრე სტალინი ვერაფრით ვერ დაურეკავდა ტუხაჩევსკის ვერც ერთი სატელეფონო კავშირით, მათ შორის ვერც „ВЧ"–თი ან „BR"–ით (როგორც თქვენ ამბობთ) ვინაიდან საბჭოთა კავშირის მარშალი მ.ტუხაჩევსკი (დაბადებული 1893 წელს, დიახ, მარშალი და არა გენერალი, როგორც თქვენ ამბობთ) დიდი შეცდომებისათვის 1937 წლის 11 ივნისს დახვრიტეს. ამიტომ ტუხაჩევსკი ვერც 1941 წლის 22 ივნისს შეხვდებოდა ღირსეულად. ომის დაწყების დღეს, 1941 წლის 22 ივნისს იგი 4 წლის მკვდარი იყო.

შემდეგ სტატიის ავტორი ეხება სტალინის პიროვნებას, აღწერს მის როლსა და ავტორიტეტს:

„ყველაფერი სადაოა. სადაო თვით მგზნებარე ლენინელის, გამარჯვების მხედართმთავრისა და სულისჩამდგმელის იოსებ სტალინის პიროვნების რაობა. ადამიანი, რომელიც თავის თავზე მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელით ლაპარაკობდა, ადამიანმა, რომელსაც ომის დროს სტალინგრადში გამარჯვებისათვის პოლიტბიურომ მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ორდენი, რაზედაც იგი ძალიან განრისხდა და ის არასოდეს უტარებია". (პატივცემული მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ სტილი აქაც დაცულია).

ვინ გითხრათ და სად წაიკითხეთ, ბატონო ბორის, რომ სტალინი პოლიტბიურომ სტალინგრადში გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მეორე ორდენით დააჯილდოვა? ჯერ ერთი, გმირობას ანიჭებდა არა პოლიტბიურო, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ბრძანებულების შესაბამისად. მეორე და მთავარი – იოსებ სტალინი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი არასოდეს ყოფილა.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ – 1939 წელს, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ხოლო, 1945 წ. 26 ივნისის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ი.ბ.სტალინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, რომელსაც ხელს მიხეილ კალინინი აწერდა. გმირის წოდების საფუძველი გახლდათ საბჭოთა კავშირის მიერ გერმანელი ფაშისტების დამარცხება დიდ სამამულო ომში (და არა სტალინგრადში გამარჯვებისათვის). აღნიშნულის შესახებ ი.სტალინმა პრესის საშუალებით შეიტყო. გამოიძახა მ.კალინინი და მკაცრად მიუთითა. გეთანხმებით, რომ გმირის ვარსკვლავი მას არასოდეს უტარებია. რაც შეეხება, თქვენს მიერ მოყვანილ დროსა და არგუმენტებს და ისტორიულად ცნობილ სინამდვილეს შორის ხომ არის დიდი სხვაობა და შეუსაბამობა? ხომ სწორია, ბატონო ბორის?!

თავის „მონაკვლევის" გაგრძელებისას ავტორი მისეული სტილითა და ჩიქორთული სიტყვებით ხოტბას ასხამს საბჭოთა ქვეყნის დაზვერვას, მის ოპერატიულ და შეუცდომელ მოღვაწეობას და, რაღა თქმა უნდა, „ცაში აჰყავს" მისი შეფი – „ჩქიმი ლავრენტი" – „ლაუ" – როგორც ავტორი ამბობს „ასე რომ ეძახდნენ მას სიყვარულით მეგრელები". ლანძღვა–გინების კორიანტელს არ იშურებს ავტორი მათ მისამართით, ვინც ბერიას დააპატიმრა და გინების კორიანტელს უგზავნის „საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალურ საკრებულოს (უნდა იყოს „სპეციალური სასამართლო სამსახური), რომელმაც 1953 წლის 23 დეკემბერს ლაუს დახვრეტა მიუსაჯა. მაგრამ ამას ისე პრიმიტიულად, უსაფუძვლოდ, უინტერესოდ აღწერს, რომ მკითხველი ვერაფერ ახალს ვერ შეიძენს. არ ღირს აგრეთვე ყურადღება გავამახვილოთ ავტორის მონათხრობის იმ მონაკვეთზე, გაეროს შექმნისა და ჩამოყალიბების „ჩქიმლავრენტისეულ" მოდელზე რომ არის საუბარი. ეს მონაკვეთი უსუსურობისა და უპასუხისმგებლობის ყველა ზღვარზე დაბლა დგას. რაც შეეხება ავტორის მიერ მოწოდებულ „ჩქიმლავრენტისეულ" ექვსი მუხლისაგან შემდგარ გაეროს დაფუძნებისა და სრულყოფის პროექტს, იგი არაფერია, თუ არა ადრეულ პერიოდში წარმოება–დაწესებულებებში, ორგანიზაციებში გამომავალ კედლის გაზეთებში გამოქვეყნებული სოციალისტური ვალდებულების მუხლები. რაც შეეხება ავტორისეულ დასკვნას ამ საკითხზე, მართლაც რომ „ხმამაღალი" და „კონკრეტულია": „მაგრამ ბერიას მიერ ჩამოყალიბებული იდეა სხვანაირი ფორმით განახორციელეს სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა".

ძალიან „კი „შეახურა" ავტორმა მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების სამი უდიდესი ფიგურა. სამაგიეროდ, კვლავ მეცხრე ცაშიააფრინა „ჩქიმი ლავრენტი" – „ლაუ".

პატივისცემით

ნუგზარ მჭედლიშვილი

*ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის გენერალური დირექტორი*

*საქ.ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი*

# მასხულიას პროცესზე ორი მოწმე დაიკითხა

გუშინ დიდუბის რაიონის სასამართლოში თემურ მასხულიას საქმის განხილვა გაგრძელდა. ამჯერად ორი მოწმე დაიკითხა. აქედან პირველი უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენელი, გოჩა ხეოშვილი იყო. იგი ფირმა „მედუზას“ პრეზიდენტის, თემურ მასხულიას რუსთავის ბინის ჩხრეკას უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

დაკითხვისას ხეოშვილმა განმარტა, რომ ჩხრეკა მინისტრისაგან, შოთა კვირაიასაგან ჰქონდა დავალებული. თუმცა, ვერ გაიხსენა უშუალოდ რომელმა მოახსენა მას ამის შესახებ ტელეფონით – მინისტრის მოადგილემ, თემურ გრძელიძემ თუ მისმა მოადგილემ, კახა თოფურიამ. ადვოკატის შეკითხვების პასუხად კი აღნიშნა, რომ არანაირი დოკუმენტი თემურ მასხულიას დამნაშავეობის შესახებ მისთვის არ გადაუციათ. უთხრეს მხოლოდ ორი ბინის მისამართი: რუსთავის და თბილისის, კიდევ ის, რომ მასხულია დაკავებულია და აუცილებელია ჩხრეკის ჩატარება, შესაძლოა ბინაში საიდუმლო დოკუმენტები ინახებოდესო. განსასჯელის შეკითხვაზე, რა იგულისხმებოდა ამ „საიდუმლო დოკუმენტებში“, მოწმემ კონკრეტული პასუხი ვერ გასცა. ადვოკატმა მისი პასუხებისა და შედგენილი ოქმის საფუძველზე კანონის დარღვევის ფაქტი დააფიქსირა. იმ მუხლის თანახმად, რომლითაც ხელმძღვანელობდა ჩხრეკის ხელმძღვანელი, არ არის გათვალისწინებული ჩხრეკის ჩატარება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, მით უფრო, უშიშროების სამსახურის თანამშრომლისა და არა გამომძიებლის მიერ არც ოქმის შედგენა მოუწონა ადვოკატმა მოწმეს. „პროკურორს ხომ უნდა მოეცა შენიშვნაო?“ – გაიკვირვა ხეოშვილმა. „სწორედ ამიტომ მიჩნდება ეჭვი, რომ თანამზრახველები ხართ“ – უპასუხა მეგრელიშვილმა. გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას კი აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გამომძიებელმა, შესაძლოა, პროკურორის ნებართვის გარეშე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ პროკურორის სანქციამდე დრო არ ითმენს, მაგრამ ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს პროკურორს. „აქ კი ეს პროცედურა დარღვეულია, ვინაიდან გამომძიებელი არ ხელმძღვანელობდა ჩხრეკას, არც სანქცია იყო გაცემული და არც პროკურორი ჩანს ვინმე“.

ხეოშვილმა კი, მისი თქმით, პატაკი გრძელიძესა და თოფურიას ჩააბარა, რომლებიც გრძელიძის კაბინეტში დახვდნენ. თბილისის ბინის გასაჩხრეკად ქლენტი უნდა წასულიყო. მოგვიანებით ჩხრეკის შედეგების შესახებ ინფორმაცია რუსთავის სასამართლოს გადაეგზავნა, სადაც მითითებულია, რომ წინასწარი მონაცემების საფუძველზე გაიჩხრიკა თემურ მასხულიას ბინა, რომელსაც სახლში უკანონოდ შენახული იარაღი უნდა ჰქონოდა. მასში დოკუმენტები მოხსენიებული არ არის. მეორე მოწმემ ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ისაუბრა და ბევრი დეტალი, თემურ მასხულიას დახმარებითა და თხოვნით გაიხსენა. აღმოჩნდა, რომ ბერძენმა პარტნიორებმა ისინი თავის ბაზის ასათვისებლად გამოიყენეს, შემდეგ კი უმნიშვნელო მოგება – 160 ათასიდან 3 ათასი დაუტოვეს, რაც ქართველი „მეგობრებისა“ და „პარტნიორების“ დიდი მადის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩა მასხულიასა და მის მხარეს. პროცესი დღეს გაგრძელდება.

ნინო თოფურია,
გეა

## კრიმინალური ქრონიკა

### გინეკოლოგიური კონტრაბანდა

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხთან პოლიციელებმა დააკავეს ავტომანქანა, რომელშიც კიშინიოვის მცხოვრებლები 40 წლის ვასილ და 19 წლის ვიქტორ ალმასაროვები ისხდნენ.

გეა-ს კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ დაკავებული მანქანის საბარგულში 818 ცალი გინეკოლოგიური ინსტრუმენტი იყო მოთავსებული. (გეა)

### ყაჩაღებმა ჯერ დედა-შვილი დახოცეს, მერე კი — ავტობუსი გაძარცვეს და მოიტაცეს

„ქუთაისის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისელი ძებნილი გურამ შიშნაშვილი, რომელმაც წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკში სხვა დამნაშავე პირებთან ერთად, დაყაჩაღების დროს, მოკლა ავტომანქანა „რაფში“ მსხდომი ლუბა ეგუტიძე და მისი მცირეწლოვანი შვილი ანა ეგუტიძე“ – აცნობეს გუშინ სააგენტო ელიზი-ნიუსს შს სამინისტროდან. ამავე ინფორმაციის თანახმად, ბოროტმოქმედებმა მიმალვა შეძლეს და იმავე გზის მონაკვეთზე ახალი „ლაზის“ მარკის ავტობუსიდან ჩამოსვეს მგზავრები, გაიტაცეს ავტობუსი 600 ლიტრი საწვავით. (ელიზი-ნიუსი)

### მანქანის ქურდები

ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა ნასვამ მდგომარეობაში დააკავეს ქუთაისელები რამაზ უგლავა და კობა კვერნაძე, რომელთაც ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოდან მოიპარეს ვაზ-2106 მარკის ავტომანქანა. (ელიზი-ნიუსი)

### ტაქსის გასაძარცვავად

„სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ვარკეთილის მასივის მე-2 მიკრორაიონის 413 კორპუსში მცხოვრები 21 წლის ირაკლი კოლელიშვილი დააკავეს“ – აცნობეს სააგენტო ელიზი-ნიუსს შს სამინისტროდან. ტაქსის მძღოლს, სანზონის დასახლების მე-19 კორპუსში მცხოვრებ ტარიელ ჭიაბერაშვილს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დანის მუქარით ართმევდა ფულსა და ავტომანქანას. (ელიზი-ნიუსი)

### „თეთრი დუქნის“ საშიში სტუმარი

„სამგორის რაიონის პოლიციელებმა განყოფილებაში წარმოადგინეს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში მცხოვრები 18 წლის გიორგი კობიაშვილი“ – აუწყეს სააგენტო ელიზი-ნიუსს შს სამინისტროდან. ამავე ინფორმაციის თანახმად, კობიაშვილს კახეთის გზატკეცილზე მდებარე შპს „სამგორი-96“-ის ლუდის ბარ „თეთრი დუქნის“ გაქურდვაში ედება ბრალი. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის განყოფილება. (ელიზი-ნიუსი)

### კონტრაბანდა „წითელ ხიდზე“

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო დეპარტამენტის „წითელი ხიდის“ საბაჟო საგუშაგოს გავლით შემოსული სხვადასხვა პროდუქტით დატვირთული ერთი სატვირთო ავტომანქანა და ორი ავტობუსი“ – აცნობეს ელიზი-ნიუსს შს სამინისტროდან. ამავე ინფორმაციის თანახმად, სამი ავტომანქანით შემოტანილი საქონლის განბაჟების შედეგად გამოწერილი დეკლარაციების მიხედვით, თანხამ 478 ლარი შეადგინა. შინაგან საქმეთა ორგანოების მოთხოვნით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის საფუძველზე კი დადგინდა, რომ შემოტანილი საქონლის განბაჟების ღირებულება 2606 ლარი იყო. საგულისხმოა, რომ ამ ავტომანქანების განბაჟება მოახდინეს საბაჟო დეპარტამენტის „წითელი ხიდის“ საბაჟო საგუშაგოს მებაჟეებმა, თბილისში საакაძის 141-ში მცხოვრებმა 37 წლის დავით საჩალელმა და თბილისში, რუხაძის ქუჩა 8-ში მცხოვრებმა 32 წლის ზაზა ჭეიშვილმა. (ელიზი-ნიუსი)

## კიტოვანის მდგომარეობა გაუმჯობესდა

მიმდინარე კვირას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაგეგმილია ფართო კონსილიუმის მოწვევა სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობით, – აცნობა გეა-ს კორესპონდენტს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სამედიცინო დარგში, ჯემალ ქარუმიძემ.

კონსილიუმის მოწვევა დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, თენგიზ კიტოვანის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რომელსაც 30 იანვარს გულის შეტევა დაემართა და მას ნახევარი საათის განმავლობაში გრძნობა ჰქონდა დაკარგული. ქარუმიძის თქმით, დღეისათვის კიტოვანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, იგი უკვე ფეხზე დადგა. (გეა)

## სოკოლოვს უარი უთხრეს

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „მემორიალის“ წარმომადგენელს, ალექსანდრ სოკოლოვს 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დადანაშაულებულ განსასჯელებთან: ავთანდილ გოგოტიშვილთან, გურამ პაპუკაშვილთან, გოჩა გელაშვილთან, გოჩა თედიაშვილთან და გიგა გელაშვილთან შეხვედრაზე უარი განუცხადა. როგორც ცნობილია, ეს განსასჯელები სასამართლო პროცესზე აცხადებენ, რომ მათ წინასწარი გამოძიების დროს სცემდნენ და აწამებდნენ.

რამდენიმე დღის წინ მოსამართლე ჯემალ ლეონიძეს ანალოგიური თხოვნით მიმართა პარლამენტის პენიტენციალური რეფორმებისა და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ, მაგრამ მანაც უარი მიიღო, რადგან, მოსამართლის თქმით, სასამართლო პროცესზე განსასჯელების დაკითხვა უნდა დასრულდეს. (გეა)

# დაღუპული დავით ჯაყელის მშობლები ალექსანდრე მარინოვის საქართველოში დაბრუნებას მოითხოვენ

როგორც ცნობილია, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს წარმომადგენლობის ყოფილმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე მარინოვმა, რომელმაც ავტოკატასტროფის შედეგად 1997 წლის 13 ივლისს ორი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, მ.წ. 23 იანვარს დატოვა საქართველო.

აღნიშნულთან დაკავშირებით „იფრინდა“-ს კორესპონდენტი ესაუბრა ერთ-ერთი დაღუპულის, დავით ჯაყელის მშობლებს – სულიკო და ლამარა ჯაყელებს, რომლებმაც შეშფოთება გამოთქვეს ა.მარინოვის საქართველოდან წასვლის გამო და მთელი პასუხისმგებლობა ამაზე ქვეყნის პრეზიდენტსა და საგარეო უწყებას დააკისრეს.

„ჩვენ არა გვყავს მთავრობა, პრეზიდენტი და საერთოდ არ არსებობს სამართალი საქართველოში. ამარინოვისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა ქვეყნის პრეზიდენტს უნდა მოეთხოვა, მაგრამ იგი, როგორც ყოველთვის, არ იცავს თავისი ერის ინტერესებს“ – განაცხადა ლამარა ჯაყელმა.

რაც შეეხება იმას, რომ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა გარკვეული თანხის გადახდის საფასურად აპატიეს ა.მარინოვს თავისი დანაშაული, დაღუპულის მშობლები აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტთან ე.შევარდნაძესთან მართლაც გაიგზავნა მათი ვაჟის ორი მეუღლის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც საუბარია წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის იმ დახმარებებზე, რაც მან ძნელბედობის ჟამს საქართველოს გაუწია. წერილში ნათქვამია, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად ვითვლებით გარდაცვლილთა კანონიერ წარმომადგენლებად. აქედან გამომდინარე მოვითხოვთ საქმის შეწყვეტას და ა.მარინოვის სრულ პატიებას. შეიძლება ჩვენი ეს ნაბიჯი გაუგებარი იყოს მავანთათვის, მაგრამ ამას ითხოვენ გარდაცვლილთა სულები და მათ უკანასკნელ სურვილზე მაინც ნუ ვიტყვით უარს“. ამას დაემატა მეორე გარდაცვლილის – სულაბერიძის მშობლების ანალოგიური სურვილი, რაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ დამნაშავე დაუსჯელი დარჩენილიყო.

დ.ჯაყელის მამის სულიკო ჯაყელის თქმით, აღნიშნული წერილის ნამდვილი ავტორი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნოდარ ცქიტიშვილია. მანვე მოაწერინა ხელი და ჯაყელის ყოფილ მეუღლეებს, რადგან დაინტერესებული იყო იმით, რომ ა.მარინოვი არ დასჯილიყო. მისივე თქმით, წერილის შინაარსმა შეცდომაში შეიყვანა ქვეყნის პრეზიდენტი. დაინტერესებულ პირთა შორის გარდაცვლილის მამა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მალხაზ კაკაბაძესაც ასახელებს.

„ჩვენ თავიდანვე მოვითხოვდით და ეხლაც მოვითხოვთ ა.მარინოვისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნას და კანონის ფარგლებში მის დასჯას“ – აცხადებენ დაღუპულთა მშობლები, რომლებიც ამ დღეებში ოფიციალური წერილით მიმართავენ ქვეყნის პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს და საგარეო საქმეთა მინისტრს ი.მენაღარიშვილს მოთხოვნით – დაუყოვნებლივ დააბრუნონ ამარინოვი საქართველოში და პასუხი აგებინონ მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. (იფრინდა)

## ორი დანაშაული საერთო ნიშნებით

„მიმდინარე წლის 11 იანვარს,, საღამოს საათებში, რუსთავის ქალაქის საავადმყოფოში მძიმედ დაჭრილი ორი ადამიანი მიიყვანეს“ – აცნობეს სააგენტო ელიზი-ნიუსს შს სამინისტროდან. ამავე ინფორმაციის თანახმად, მუცლისა და ბეჭების მრავლობითი ჭრილობით უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი 18 წლის შალვა ახვლედიანის გადარჩენა მოხერხდა. მეორე დაჭრილი კი, 40 წლის ცოლ-შვილიანი თამაზ ნონიაშვილი საავადმყოფოში მიყვანიდან 3 საათში გარდაიცვალა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნონიაშვილს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით სხეულის დაზიანება მიაყენა მეზობელმა, რუსთავის მე-17 მიკრორაიონის 27-ე კორპუსში მცხოვრებმა, წარსულში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის ნასამართლევმა, 21 წლის ზურაბ ძებისაშვილმა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა შემდეგ, მშობლებისა და ახლობლების საშუალებით გატარებული ახსნა-განმარტებითი სამუშაოების შედეგად, ძებისაშვილი ბრალის აღიარებით რუსთავის პოლიციაში გამოცხადდა.

წინასწარი ძიებით გაირკვა ისიც, რომ 11 იანვარს, 23 სთ. 30 წუთზე, რუსთავში, მე-19 მიკრორაიონის 112-ე სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკება მოხდა 17 წლის ორ ახალგაზრდას შორის. რუსთავის მოქალაქემ, ვინმე ელენტმა დანით მუცელსა და ბეჭებში არაერთი ჭრილობა მიაყენა შალვა ახვლედიანს. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ელენტს ჩადენილი ქურდობისათვის გასული წლის ზაფხულში სასამართლომ ორი წლით პირობითი სასჯელი შეუფარდა. ასე რომ, 11 იანვარს მოქალაქის სხეულის დაზიანებისათვის ელენტისათვის მიცემულ სასჯელს გასულ წელს ჩადენილი ქურდობისათვის მისჯილი ორი წელიც დაემატა. (ელიზი-ნიუსი)

# ერი და ჭეშმარიტება

**ვაგრძელებთ** *გეჩდვას ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამართული ორდღიანი დისკუსიის „ერი და ჭეშმარიტება“ მასალებისა „საქართველოს“ ა.წ. 24-27 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა როსტომ ჩხეიძის შესავალი სიტყვა და ერთ-ერთი მომხსენებლის ვახტანგ ერქომაიშვილის გამოსვლის ძირითადი დებულებანი და შინაარსი. ამჯერად გთავაზობთ პროფესორ ზურაბ კიკნაძის მოხსენებას.*

# „რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი“

ზურაბ კიკნაძე

ერი, სამშობლო, როგორც არ უნდა განვსაზღვროთ იგი, ყოველთვის იყო, არის და იქნება სიყვარულისა და თავგანწირვის ობიექტი. მეორე მხრივ, ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანი, რომელიც სჩადის თავგანწირვის აქტს. სამშობლოსთან მიმართებაში მას საშუალება ეძლევა დადგეს თავისი პიროვნების, უფრო მეობის, ემპირიულ მხარეზე ანუ მის ფენომენურ განსაზღვრულობებზე მაღლა. ამ აქტს ახლავს ექსისტენციალური მომენტი. თევდორე მღვდლის მაგალითი, რომელსაც ახსენებს ბ-ნი ვ.ერქომაიშვილი, სამუდამოდ რჩება ეთოსის უმაღლეს გამოვლინებად და მის მიერ მტრის შეცდომაში შეყვანა, მოტყუება სრულიადაც არ ნიშნავს მისგან ჭეშმარიტების ღალატს. და ამ აქტიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს თეზისი, თითქოს პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტებაზე მაღლა იდგეს. ეს არც ემპირიულად და არც თეორიულად არ გამომდინარეობს თავგანწირვის აქტიდან. ცალმხრივობის გამო ვერ დავეთანხმები ჭეშმარიტების იმ დონემდე დაყვანას, როგორც ბ-ნი ვ.ერქომაიშვილი გვთავაზობს: „ჭეშმარიტება მეცნიერების უმაღლესი ფასეულობაა“. ჩვენ არ უნდა გვქონდეს საუბარი რომელიმე კერძო ჭეშმარიტებაზე, როგორც რაღაც კონკრეტულ მეცნიერულ აღმოჩენაზე. ჭეშმარიტება მართლაც აღმოჩენაა, მაგრამ არა დარგობრივი. ჭეშმარიტება, სამეცნიერო სფეროს გარდა, სხვაგანაც, პირველ რიგში, სწორედ ამ „სხვაგან“ არის საძებარი. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ თავგანწირვის აქტში, როგორც ექსისტენციალურ მოვლენაში, ჭეშმარიტების მონაწილეობას ცოცხალი განცდის სახით: ადამიანი ამ დროს უკიდურესად ახლოს არის თავის პიროვნებასთან. შესაძლებელია, ამ აქტში ის პირველად და უკანასკნელად ბოლომდე წვდება საკუთარ თავს, იმ „ერთადერთს“ (დავითის ფსალმუნში, 21,21, ეს სიტყვა სულის სინონიმია), რომელიც მისი განუყოფელი საკუთრებაა პიროვნების სახით. არავინ იცის, რა არის უშუალო და უკანასკნელი მოტივი ამ „ერთადერთის“ გაწირვისა – სამშობლო თუ პიროვნების ღირსება, რომელიც უნივერსალურია, ამავე დროს უაღრესად კონკრეტული, და არაფრით არ არის განპირობებული, რადგან ის ღვთის ხატს წარმოადგენს ადამიანში.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ერის მეცნიერული ცნება, რაღაც აუცილებელ ნიშანთა კრებული, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს იმ ჭეშმარიტებასთან, რომლის ძალითაც ერი იძენს ონტოლოგიურ ღირებულებას. ჩვენ არ ვიცით, რომ მონაწილეობს ქვეყნისათვის თავგანწირვის აქტებში ჭეშმარიტება, შესაძლებელია, უფრო მეტადაც, ვიდრე სამშობლოს სიყვარული. ჩვენ არ შეგვიძლია მისი უგულებელყოფა და გამორიცხვა.

აქ საუბარი არ არის თავგანწირვის ემოციურ მხარეზე, რომელიც სამშვინველის სფეროს ეკუთვნის. თავგანწირვას უცილობლად აქვს მეორე მხარე – სულისმიერი მხარე, რომელიც სამშვინველზე უფრო მაღალი ინსტანციაა. თუ თავგანწირვის აქტი თავისუფალი არჩევანის აქტია, მის წყაროდ სული უნდა მივიჩნიოთ, რადგან მხოლოდ სულს აქვს თავისუფალი არჩევანის უნარი. თუ თევდორე მღვდელს არ ექნებოდა არჩევანის უფლება, მისი თავგანწირვა თავისუფალი პიროვნული აქტი არ იქნებოდა. და ის მოკლებული იქნებოდა ეთიკურ ღირებულებას. უდავოდ შესანიშნავი გრძნობაა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, მაგრამ რამდენადაც ის ემოციების სფეროს განეკუთვნება, ღირებულებათა შკალაზე ის ვერ დაიჭერს მაღალ ადგილს, ვიდრე მასში სული არ მიიღებს მონაწილეობას.

როგორ შეიძლება მონაწილეობდეს სული ისეთ გრძნობაში, როგორიც არის სამშობლოს სიყვარული?

ვეთანხმები მომხსენებელს იმ პუნქტში, სადაც ის ერის უნიკალობაზე საუბრობს. შევეცდები წინ წამოვწიო ეს თეზისი, არა როგორც თეზისი თავისთავად, არამედ როგორც ისეთი პრობლემა, რომელიც სასურველ ლიანდაგზე გადაიყვანს ნაციონალურ პრობლემას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში (რომ არ ვთქვათ: როგორც წესი) შეუწყნარებლობის წყარო ხდება.

ყოველი ერი უნიკალურია ისევე, როგორც უნიკალურია პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მოვლენა სხვადასხვა სიბრტყეში არიან, მათ ერთი საერთო აქვთ – უნიკალობა. წავიდეთ უფრო შორს: უნიკალურია არა მხოლოდ პიროვნება და ერი, ხალხი, თუნდაც ეთნოსი, განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იდგას ის, არამედ თვით კაცობრიობაც უნიკალურია. ამოვდივართ ბიბლიური მოძღვრებიდან, რომელსაც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მეცნიერება ადამიანის შესახებ.

უნიკალობა არ არის მეცნიერული ცნება, განსჯისა და კვლევის შედეგად მიღებული. ის ღრმად პიროვნული განცდაა. უნიკალობის განცდა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თავად ატარებს და წარმოადგენს თავის მთლიანობაში უნიკალობას. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ადამიანის ეთიკური სიმაღლის შეფასება იმისდა მიხედვით შეიძლება, თუ რამდენად განიცდის ის თავის უნიკალობას – ეს კი ხსნის გზას სხვათა უნიკალობის აღიარებისკენ. აქვე შევნიშნავთ, რომ უნიკალობის მაღალხარისხიანი განცდა მხოლოდ სულში თუ შეიძლება – ემოციის, სამშვინველის სფეროში ის ვერ შეაღწევს. სამშვინველს შეუძლია განიცადოს მხოლოდ განსხვავებულობა, სხვაობა, რაზეც არის დაფუძნებული ეთნოსის, ხალხის, თუნდაც, ერის, ძირითადი პრინციპი, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით. ამ აზრს იზიარებს მომხსენებელიც და ეს ნამდვილად შეეფარდება სინამდვილეს. ყოველი ერი – წარსულში და დღეს, ხალხთა შორის ურთიერთობისას ოპერირებს დაპირისპირებით: ჩვენ – ისინი ანუ სხვანი, მერე უცხონი და, საბოლოოდ, მტრები. არსებობდა ელინი, არსებობდა ბარბაროსი, არსებობდა ჯუნგო („ქვეყნის შუაგული“, როგორც დღემდე უწოდებენ ჩინელები თავიანთ სახელმწიფოს) და პერიფერიაში მცხოვრები ტომები, არსებობდა შუმერელი, არსებობდა მართუ და მათ შორის იყო უფსკრული. ამ უფსკრულს ქმნის არა თავისთავად განსხვავება, არამედ ამ განსხვავების აბსოლუტიზება, როდესაც სხვისთვის არ რჩება ადგილი დედამიწის ზურგზე.

გრიგოლ რობაქიძეს „გველის პერანგში“ მოყავს ფრაზა, თითქოსდა ირანში „ხელიკისფერ ქვაზე“ ამოკითხულია: „ჩემი ძმა არყოფილი, ვით არ მიყვარდის, უმეტეს მზისა და უმეტეს ხმლისა, რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი“.

ერთადერთი მოაზროვნე, რომელსაც შეეძლო თავი ჩაეთვალა ნაციონალისტად, მაგრამ საკმაოდ შორს იყო ნაციონალიზმიდან, იმ განმარტებიდან ამოსვლით, როგორიც მომხსენებელმა მოგვცა („ნაციონალიზმი არის თეორია და პრაქტიკა, რომელიც მოითხოვს საკუთარი ერის სხვებისგან გამორჩეულობას და მათზე მაღლა დაყენებას“).

ქართველი მოაზროვნე, პოეტი, ქმნის შესანიშნავ, ირაციონალურ ცნებას, შესიტყვებას: სხვაი ჩემი. ამ ცნებაში წაშლილია უცხოობა, სხვა შემოტანილია ჩემში, აღიარებულია თავისი უნიკალობით, ანუ: როგორც მე ვარ უნიკალური, ასევე ის სხვაც უნიკალურია. ეს არის ის ურთიერთობა, რომელიც მარტინ ბუბერის წყალობით (ამავე ხანებში ავითარებდა თავის ეთიკურ ფილოსოფიას პიროვნების მიმართ ბერდიაევი და სემიონ ფრანკი), მე-და-შენის ურთიერთობის პრინციპით განიხილავს მე სხვაში („შენში“) ისეთსავე უნიკალურ პიროვნებას ხედავს, როგორც საკუთარი პიროვნების სახით განიცდის.

უნდა არსებობდეს უნიკალობის განცდა, რადგან უნიკალობა ონტოლოგიური კატეგორიაა, მას ჭეშმარიტების სტრუქტურა აქვს – მასზე დგას ყოფიერება. ერთი უნიკალობა აღიარებს მეორე უნიკალობას, სხვანაირად: ჩემი უნიკალობა სხვათა უნიკალობის საბუთია. ეს ცოცხალი განცდაა და ეს ჭეშმარიტება იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც უშუალოდ შეიმეცნება, მისი წყარო არ შეიძლება მეცნიერული კვლევა იყოს. მართალია, სემიონ ფრანკი წიგნში Непостижимое იკვლევს ამ ფენომენს, მაგრამ იკვლევს მას შემდეგ, რაც ინტუიტიურად მიგნებული აქვს. აქ განცდა, რომელსაც აღმოჩენის ხარისხი აქვს, წინ უსწრებს დისკუსიას, მის დასაბუთებას, რაც მეცნიერებისა თუ ფილოსოფიის სფეროა.

აი ამ უნიკალობით ხდება გადასვლა „სხვაში“, სხვა უნიკალობაში, „შენში“. სხვა უნიკალობის აღიარებით ერი ახერხებს იმას, რომ ის თავის თავზე მაღლა დგება; ის გადის თავის გარეთ, მას შეუძლია გარედან შეხედოს თავს და აღმოაჩინოს იმაზე მეტი, რაც იცოდა თავისი თავის შესახებ იმანენტური ჭვრეტით. მას შეუძლია დაინახოს თავისი თავი კაცობრიობის კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ უნიკალობაა, როგორც მხოლოდდამხოლოდ თავისი საკუთარი თავის წარმომადგენელი. ამ თავისი უნიკალობით ერი იდენტიფიკაციას ახდენს კაცთა მოდგმასთან, როგორც მთლიანობასთან. ასე გადის ის უნივერსალობაში, არღვევს რა ეთნიურ საზღვრებს.

არ არის სხვა რომელიმე განსაზღვრულობა ერისა ისე შორს ერის ჭეშმარიტი ღირებულებისგან, როგორც სისხლისმიერი ნათესაობა. ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ეროვნების გენოფონდზე. თითქოს ყველაფერი ის, რაც ქმნის ერს, მოცემული იყოს იმთავითვე, როგორც უცვლელი ბირთვი, და რაც უარესია, მას ფიზიოლოგიური არსებობა ჰქონდეს.

ვიმოწმებ ახლახან გამოქვეყნებული სტატიიდან ადგილს: „ქართველებმა ის ღვთიური კოდი (გენი) ყველაზე მეტად შევინარჩუნეთ სწორედ ჩვენი სარწმუნოების წყალობით. ამიტომ ვერ დაგვავიწყა მტერმა ჩვენი ვინაობა...“

შეიძლება ერთი შეხედვით არ ჩანდეს ამგვარი „თეორიის“ მანკიერება. თუ გენში ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია ჩვენი ვინაობა, გენი კი უცვლელია, ადამიანის აქტივობაც პიროვნების შესანარჩუნებლად ზედმეტი ყოფილა. და საერთოდ, ადამიანს არაფერი ჰქონია ასარჩევი, ის იმთავითვე დასაზღვრულ-დეტერმინირებული ყოფილა თავისი გენური ეთნიური კუთვნილებით. საგანგაშოც არაფერია: ჩვენი ვინაობა სიცოცხლის გაჩენისთანავე საიმედოდ არის დაცული ბიოლოგიით. მაგრამ ასეთად ღმერთს არ შეუქმნია ადამიანი. ის თავისუფალ არსებად შექმნა და მიანიჭა თავისუფალი არჩევანის უნარიც და მისცა ამის ასპარეზიც. თუ ბიოლოგიით, თუნდაც გენიალური გენურით მას თავს მოეხვევა ის, რაც თავად არ აურჩევია, ადამიანი კარგავს ადამიანის ძირითად ნიშანს, რაც ღვთის ხატობაში მდგომარეობს.

სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, წმიდა გრძნობაა, მაგრამ ის წმიდაა მაშინ, თუ ის (ტავტოლოგიურად ვიტყვი) არ არის შემღვრეული მღვრიე ემოციებით, რომელთაც არავითარი დასაყრდენი არა აქვს არც ონტოლოგიურად, არც სულიერად. თუ რას იწვევს ამგვარი მღვრიე პატრიოტიზმი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ „ჩვენ სხვას“ დაპირისპირებაზეა დამყარებული, ყველასათვის ცნობილია. „სხვას“, აქედან გამომდინარე „უცხოს“ ისევე არა აქვს ონტოლოგიური არსებობა, როგორც ბოროტებას. „სხვა“ მოჩვენებითია, უნიადაგოა, ამდენად ყალბი და ამ სიყალბით უპირისპირდება ჭეშმარიტებას. ის ფესვმოკლე ხესავით არის, რომლის ფესვი ვერ სწვდება უნივერსალურის სიღრმეს, საიდანაც ამოდის ყოველი უნიკალობა. ყოველი ცალკეულ ეროვნულ უნიკალობას გამართლება კაცობრიულ უნიკალობაში აქვს, ამიტომაც ის თანაბრად ეკუთვნის ყველას. ეს ის სულიერი სფეროა, სადაც ადგილი აღარ რჩება „სხვას“. რაც რჩება, ეს არის „სხვაი ჩემი“.

როცა დასმულია პრობლემა „ერი და ჭეშმარიტება“, პრობლემა ბუნებრივად ინაცვლებს ადამიანისკენ, ადამიანის პიროვნებამდე დადის, რადგან პიროვნება ადგენს ჭეშმარიტებას ერზე. რადგან მხოლოდ პიროვნებას ძალუძს სიმართლის თქმა საკუთარი თავის შესახებ, მას ერზეც შეუძლია და ვალდებულიც არის თქვას პირუთვნელი სიმართლე. მაგრამ სიმართლის თქმა არ არის თვითმიზანი – მისი მიზანია ეროვნული ცნობიერების გაცხრილვა, მისი განწმენდა კერპთაყვანისმცემლური [illegible], რაც ფარავს მისი ხედვიდან მის ნამდვილ [illegible], მის ჭეშმარიტ უნიკალობას, რომელშიც არის მისი არსი.

ორიოდე სიტყვა მამარდაშვილის იმ ფრაზაზე, რომელიც ესოდენ გახმაურდა მაშინ, როცა და სადაც ის წარმოითქვა, და დღესაც ხმაურობს, მოსვენებას არ აძლევს ადამიანებს. ეს სიტყვები პიროვნების მეტაფიზიკური სიღრმიდან იქნა წარმოთქმული, ისინი მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეეძლო წარმოეთქვა. დარბაზის რეაქციამ, სადაც ისინი ითქვა, დაადასტურა, რომ იქ არ სუფევდა თავისუფლების სული. იქნებ მაშინ, ეროვნული მოძრაობის იმ ხანმოკლე პერიოდში, სხვა სიტყვები უფრო „აუცილებელი“ და გასაგები იყო კოლექტიური ცნობიერებისთვის და კიდეც წარმოითქმოდა მუშტების დაჭიმვით. იმ სიტყვა-ლოზუნგებს კი, რომელთა სიცრუე მალე გამოაშკარავდა უდიდესი ზიანის მოტანით, არავინ იხსენებს.

დარბაზში წარმოთქმული სიტყვები, რომლებმაც რისხვის ტალღა გამოიწვია, განსვენებულმა ფილოსოფოსმა გაიმეორა ინტერვიუში „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტთან (1989 წლის 25 ივნისს):

„მას შემდეგ, რაც არსებობს სახარებისეული ათვლის წერტილი, მას შემდეგ, რაც არსებობს მსოფლიო ისტორია, არსებობს ერთი მარტივი კანონზომიერება: რეალური კულტურა და ადამიანის სულიერება არ შეიძლება შემოიზღუდოს იმ ეთნიკური მასალით, რომელშიც ისინი ხორციელდება. ნებისმიერი სოციალური და ნაციონალური ერთობა, რა დიდიც არ უნდა იყოს იგი, იყოს თუნდაც ერთადერთი, მაინც ცალკეულად, ნაწილად დარჩებოდა და მოკლებული იქნებოდა უნივერსალობას. პიროვნული საწყისები, რომლებიც სწორედ უნივერსალურს არის მოჭიდებული (зацеплены), წარმოადგენენ ნაციონალური ნიშნების ნორმალური არსებობისა და სრულფასოვანი, ცოცხალი ფუნქციონირების პირობებს... ვერავითარი ეროვნული ხასიათი ვერ შენარჩუნდება და ვერ იარსებებს თავის საუკეთესო თვისებებში პიროვნული საწყისების გარეშე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში. თუ ეროვნებაში (ერში, ნაციაში) განადგურდა პიროვნული საწყისები, რომლებიც ეროვნულობის გარეშეა (вненациональны) და წარმოადგენენ ადამიანის, როგორც ასეთის, ისტორიულ საწყისებს, ეთნიურობისგან დამოუკიდებლივ, მაშინ ეროვნების საუკეთესო თვისებები გაქრება. ეს საწყისები კი ყოველი სულიერების საფუძველია, რადგან მისი არსი ის არის, რომ სამშობლოზე მაღლა ყოველთვის დგას ჭეშმარიტება (ეს ხომ ქრისტიანული მცნებაა); მხოლოდ პიროვნებას შეუძლია ეძებოს იგი და უკიდურესი პირდაპირობით გამოხატოს. მე ჭეშმარიტებას ვაყენებ სამშობლოზე მაღლა და მე მებადება კითხვა: ბევრ ქართველს შეუძლია ჭეშმარიტების დაყენება თავისი სამშობლოს მოჩვენებით ინტერესებზე მაღლა? თუ არ შეუძლიათ, ცუდი ქრისტიანები ყოფილან“.

მ.მამარდაშვილი პირველი არ ყოფილა ქართველთა შორის, რომელმაც გამოთქვა ეს ეგზომ საჭოჭმანო დებულება. ბ-ნმა ვახტანგ ერქომაიშვილმა პ.ჩაადაევის ცნობილი სიტყვები გაიხსენა ჭეშმარიტების უზენაესობაზე. არ არის აუცილებელი მ.მამარდაშვილის ერთ-ერთ წყაროდ ალბერ კამიუს ანალოგიური, თუ სადმე უთქვამს, სიტყვები დავასახელოთ (ბ-ნი გ.გაჩეჩილაძე). ჩვენ დავიმოწმებთ ისევ და ისევ რობაქიძის სიტყვებს, რომლებიც მან არჩილ ჯორჯაძეს მისწერა:

„თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯდენს ისტორიული ჭეშმარიტება, – აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავისი სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და, მაშასადამე, არც არსებობისა... რა საჭიროა არსებობა, თუკი რაიმე „აზრს“ არ ვახორციელებთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა „ფიზიოლოგიურის ემოციით“ ყოვლად შეუძლებელია“ („სკოლა და ცხოვრება“, 4, 1989, გვ. 63).

სხვათა შორის, გრიგოლ რობაქიძემ მ.მამარდაშვილის მსგავსად განსწავლის წლები სამშობლოს გარეთ (რუსულ და გერმანულ უნივერსიტეტებში) გაატარა. ისიც ცნობილია, რომ იგი თავის პირველ ლექციებს ქართული მწერლობისა და კულტურის შესახებ, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოყავდა, კერძოდ ქუთაისის საზოგადოება, რუსულ ენაზე კითხულობდა. მაგრამ ის ქართველი იყო „სულით ხორცამდე“. და ასეთი იყო არა როგორც პიროვნება თავის ემპირიულ გამოვლენაში, არამედ როგორც შემოქმედი, რომელიც კაცობრიული, უნივერსალური გადმოსახედიდან ჭვრეტდა თავისი ქვეყნისა და ხალხის უნიკალობას. ამ სიმაღლიდან ეძებდა და წვდებოდა ის ჭეშმარიტებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელმხილველები — გამომძიებლები

ნათელმხილველების პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთი ასპექტია – სამართალდამცავი ორგანოებისათვის დახმარება. დაკარგული ადამიანებისა და საგნების ძებნა, დანაშაულის გარემოებათა დადგენა, დამნაშავის პორტრეტის დახატვა მხოლოდ ხსენებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს შეუძლიათ.

გასული საუკუნის მიწურულს ლონდონის ერთ სახლში აღმოაჩინეს მოხუცის გვამი. როცა სახლს პოლიცია ათვალიერებდა, ერთი ახალგაზრდა მივიდა მათთან, რომელიც უცხოური აქცენტით ლაპარაკობდა და განაცხადა, რომ იგი ნათელმხილველია. მან პოლიციას დახმარება შესთავაზა.

პოლიციელები ამ ფაქტს სკეპტიკურად მიუდგნენ, მაგრამ უცნობს მაინც მისცეს მიცვალებულთან მიახლოების საშუალება: შეისწავლა რა დანაშაულის ადგილზე დატოვებული კვალი, ნათელმხილველმა განაცხადა, რომ მკვლელი არის მოხუცის ახლობელი, ახალგაზრდა კაცი, მდიდარი ოჯახიდან, რომელსაც ჯიბეში ოქროს საათი უდევს.

გამომშვიდობებისას კაცმა იქ მყოფ ჟურნალისტს თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა: „მე ვარ დიდი ჩეირო!“ – განაცხადა მან.

მალე ამ საქმის გამო დააკავეს მოხუცის შვილი. მას მარცხენა ჯიბეში მართლაც ჰქონდა ოქროს საათი. ნათელმხილველი ჩეიროს სახელი მაშინ ცოტასთვის იყო ცნობილი. შემდგომში მან კიდევ უფრო საოცარი რამეები იწინასწარმეტყველა. ამის შემდეგ ჩეირომ დატოვა ლონდონი და ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც სამძებრო ბიურო გახსნა. მისი ნამდვილი



სახელია გრაფი ლუი დე არმანი.

მეტად პოპულარული ნათელმხილველი იყო ჰოლანდიელი ჟერარ კრუაზე. მან მრავალი დანაშაულის გახსნა მოახერხა. იგი მოქმედებდა როგორც მედიუმი, თანაც არანაირ დამხმარე საშუალებას არ იყენებდა. მას არც დანაშაულის ადგილზე გასვლა სჭირდებოდა. გონებაში სპონტანურად აღადგენდა დანაშაულის სურათს.

როდესაც მას ეკითხებოდნენ, ხედავს თუ არა იგი თავის მომავალს, იგი პასუხობდა, რომ ადამიანმა რომც იცოდეს, რა მოელის, მაინც ვერ აიცილებს თავიდან – ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული. იგი ერთმა უცნობმა მოკლა ერთ-ერთი გახმაურებული პოლიტიკური საქმის გამოძიების დროს.

1956 წლის სექტემბერში სამხრეთ აფრიკის ქალაქში, რომელსაც ერქვა ფაინთაუნი, მოხდა უცნაური ამბავი – დაიკარგა 17 წლის გოგონა ჯოი აკენი. მთელი თვის განმავლობაში პოლიცია უშედეგოდ დაეძებდა მას. ბოლოს გოგონას მშობლებმა მიმართეს ადგილობრივი სკოლის ყოფილ დირექტორს ნელსონ პალმერს, რომელსაც ნათელმხილველის სახელი ჰქონდა გავარდნილი და დაკარგულ საგნებს პოულობდა ხოლმე. პალმერმა თქვა, რომ ადამიანების მოძებნა არასოდეს უცდია. თუმცა დახმარებაზე უარი არ უთქვამს.

იგი ჩაჯდა სავარძელში, ჩავარდა ტრანსში და დაკარგული გოგონას ხმით დაიწყო ლაპარაკი: „მე მკვდარი ვარ, ჩემი სხეული პიტროს-როუჩის მახლობლად არხში აგდია. მამაკაცი უეცრად მოვარდა და მომკლა“.

ტრანსიდან გამოსვლის შემდეგ პალმერმა თქვა, რომ ჯოი აკენის სხეული დაახლოებით ასი კილომეტრის დაშორებით აგდია პატარა არხში. გვამს მიწა და ტოტები აყრია. მკვლელი არის 30 წლის მამაკაცი, სახელად კლარენსი. მკვლელობის იარაღი კი ფარდულში აქვს დამალული.

მართლაც, ჯოის სხეული აღნიშნულ ადგილზე იპოვნეს. შუბლზე მას ნატყვიარი ჰქონდა. გოგონას ნაცნობებს შორის იყო ვინმე კლარენს ვან ბურენი. გამოჩნდნენ მოწმეები, რომლებმაც აჩვენეს, რომ გოგონა და კლარენსი ერთად ნახეს აღნიშნულ დროს. კლარენსი დააპატიმრეს. მალე მას პისტოლეტიც უპოვნეს. როგორც გაირკვა, კლარენსი და ჯოი საყვარლები იყვნენ. ნელსონ პალმერს გოგონა არასდროს უნახავს და არც მისი არსებობის შესახებ იცოდა რამე.

ანალოგიურ შემთხვევას რუსეთშიც ჰქონდა ადგილი. 10 წლის წინათ მოსკოვში მუშაობდა ექსტრასენსების იატაკქვეშა ჯგუფი, რომელიც მილიციას ეხმარებოდა განსაკუთრებით რთული საქმეების გახსნაში. ისინი სამნი იყვნენ. ერთი ფოტოსურათის მიხედვით ლაპარაკობდა, სხვები კი თავ-თავისას ამატებდნენ. ასე აღადგენდნენ დანაშაულის სურათს.

ამ ჯგუფის ერთი წევრი იყო ნათელმხილველი სვეტლანა ჩ., გაირკვა, რომ ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მან იგრძნო, რომ ფოტოსურათი აღარ სჭირდება. მთელ ინფორმაციას უიმათოდ იღებდა. ამის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ტელეფონით. ტელეფონით საუბრისას შეეძლო აბონენტის სახლის სურათი დაენახა. უცნობი ადამიანის დასანახავად მისთვის საკმარისი იყო სახელის ცოდნა.

– რა გზით იღებთ ინფორმაციას?

– სხვადასხვანაირად. ხან სურათს ვხედავ, ხან ხმა მესმის. ჩემს წინ სივრცეში თვითონ სიტყვები დაფრინავენ. ერთხელ ჩემს ქმარს ვიღაცამ დაურეკა და უთხრა, რომ მათ ნაცნობს მანქანა მოპარეს. იმწუთსვე წამოვიდა ინფორმაცია გონებაში: ლურჯი ფერის „ჟიგული“. შემდეგ: რუბლიოვის გზატკეცილი. მანქანა მართლაც იპოვნეს.

ერთხელ მე მომმართა ერთმა ქალბატონმა, რომელსაც აღარ ახსოვდა, ხელფასი სად შეინახა. მე ჩავიხედე წარსულში. იგი შედის ოთახში, იღებს ფულს. ამ დროს რეკავს ტელეფონი და ქალი აჩქარებით ინახავს ფულს ბუფეტის თავზე. მართლაც ფული იმ ადგილზე აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, შეიძლება ასეთი ტალანტი დამღუპველიც აღმოჩნდეს, განსაკუთრებით კრიმინალური სიტუაციისა და მაფიის პირობებში. თუმცა ასეთი ადამიანები საიდუმლოდ, მაგრამ მაინც აგრძელებენ თავის მოღვაწეობას. დასავლეთში კომპეტენტურ ორგანოებს თავიანთი ნათელმხილველები ჰყავთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანთა ჩვენებები სასამართლოზე არ განიხილება, მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ გამოძიებისათვის.

## მსოფლიო გზებზე

### ფარახანი დაღესტნიდან გააძევეს

28 მუსულმანი სასულიერო პირი ლუის ფარახანის მეთაურობით დაღესტნის ტერიტორიიდან გააძევეს. „რუსეთის მუსულმანთა კავშირის“ ლიდერის, ნადირ ხაჩილაევის მოწვევით აშშ-ის, ნიდერლანდების, განასა და საუდის არაბეთის წარმომადგენელთა დელეგაცია რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ჩავიდა.

დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ვიზიტის მიზანია მსოფლიოს მუსულმანთა შორის ურთიერთობების გამყარება. დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ორთოდოქსალური შეხედულებების მქონე ფარახანის ვიზიტს გულგრილად შეხვდა, რადგან ამ რესპუბლიკაში რელიგიური დავა ხშირად იარაღის გამოყენებითა და სისხლისღვრით მთავრდება. დაღესტნიდან ფარახანისა და მასთან დაახლოებული პირების გაძევების მიზეზი რუსეთის ვიზის ვადის გასვლა გახდა. ლუის ფარახანი ჩეჩნეთის საზღვარზე ორგანიზაცია „ისლამური ერის“ ლიდერთან, მოვლადი უდუგოვთან აპირებდა შეხვედრას. მაგრამ ფარახანისა და მისი თანმხლები პირების ავტომანქანებმა სასტუმროს ტერიტორიიდან გასვლაც კი ვერ მოასწრეს, რადგან მილიციის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა უცხოელ სტუმრებს დაღესტნიდან გასამგზავრებლად აეროპორტში წასვლა შესთავაზა.

ლუის ფარახანი, წარსულში ცნობილი მუსიკოსი, ამჟამად მუსულმანურ ორგანიზაცია „ისლამის ერს“ უდგას სათავეში. იგი მოკრივეების მაიკ ტაისონისა და მოჰამედ ალის სულიერი მამაა. (გეა)

### რუსეთი კოსმოსური მომსახურების სფეროზე დიდ იმედებს ამყარებს

უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში რუსეთი კოსმოსური ხომალდებისა და ხელოვნური თანამგზავრების გაშვებიდან 1 მილიარდ დოლარს მიიღებს. კოსმოსური მომსახურების სფეროს ბაზრის შეფასებისას რუსეთის კოსმოსური სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, იური კოპტევმა სამი ძირითადი პერსპექტიული დარგი გამოჰყო: დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნა და კოსმოსში გაშვება, აგრეთვე დედამიწაზე კოსმოსური ინფორმაციის მიღების და გადამუშავების უზრუნველყოფა.

კოპტევის აზრით, ხელოვნური თანამგზავრების ბაზრის მოცულობა უახლოეს 10 წელიწადში 25-30 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ თანამგზავრების კოსმოსში გაშვების მომსახურების მოცულობა შეფასებულია 20-22 მილიარდი დოლარით. ჯერჯერობით რუსეთის წილი მსოფლიოს კოსმოსური მომსახურების ბაზარზე 12%-ს შეადგენს. (გეა)

### ლუკოილს ენდობიან

დასავლეთის ბანკების კონსორციუმმა რუსეთის ნავთობკომპანია „ლუკოილს“ 1,5 მილიარდი დოლარის კრედიტი გამოუყო. კრედიტის დაფარვის ვადაა 8 წელიწადი.

პირველი ორი წლის განმავლობაში „ლუკოილი“ გათავისუფლებული იქნება ვალების გადახდისგან. შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში კომპანიამ მთლიანად უნდა დაფაროს კრედიტი. კონსორციუმის პროგრამა დააფინანსეს გერმანიის „დოიჩე ბანკ“-მა, შვეიცარიის „კრედით სუის ფერსთ ბოსტონ“-მა და საფრანგეთის „სოსიეტე ჟენერალ“-მა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ბანკებმა პირველად დააფინანსეს „ლუკოილის“ გრძელვადიანი პროგრამა. გერმანელ ექსპერტთა აზრით, ამ კრედიტმა დაადასტურა დასავლეთის ფინანსური სტრუქტურების ნდობა „ლუკოილ“-ისადმი და ამ კომპანიას მსოფლიოს წამყვან ბანკებთან მჭიდრო კავშირების დამყარების საშუალებას მისცემს. (გეა)

### ნატომ ევროფაიტერთან 55 მილიარდი მარკის ღირებულების ხელშეკრულება დადო

„ევროფაიტერის“ ტიპის ავიაგამანადგურებლების სერიული დამზადების თაობაზე ჩრდილოატლანტიკურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსმა ხელი მოაწერა გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და ესპანეთის კონცერნებთან. კონტრაქტის საერთო ღირებულება 55 მილიარდ მარკას შეადგენს.

ნატოსა და სამრეწველო კორპორაციებს: „ევროფაიტერსა“ და „ევროჯეტს“ შორის ხელმოწერილი შეთანხმება ითვალისწინებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების შეიარაღებული ძალებისათვის სამხედრო თვითმფრინავების მიწოდებას 20 წლის განმავლობაში. სამხედრო ტექნიკის პირველი პარტია აღნიშნულ სახელმწიფოებს 2001 წლისათვის მიეწოდებათ. 2002 წლიდან 2014 წლამდე ბუნდესვერი 23 მილიარდი მარკის ღირებულების 180 ასეთი თვითმფრინავის მიღებას აპირებს. დიდი ბრიტანეთი 232 „ევროფაიტერს“ შეისყიდის, იტალია – 121-ს და ესპანეთი – 87 ავიაგამანადგურებელს. (გეა)

### ევროპის ბანკები აზიაში მომხდარი ფინანსური კრიზისის გამო

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ეკონომიკური კრიზისის გამო წამყვანი ევროპული ბანკების დანაკარგებმა შესაძლოა 290 მილიარდი დოლარი შეადგინოს. ამ რეგიონის ქვეყნების საერთო დავალიანება ევროპის ბანკებისათვის 130 მილიარ დოლარს შეადგენს.

მაგრამ თუ პირდაპირი დაკრედიტების გარდა მხედველობაში იქნება მიღებული საფონდო ბაზრის დანაკარგებიც, მაშინ დანაკარგების მოცულობა მკვეთრად გაიზრდება. ლონდონის „სითის“ მონაცემებით, ტაილანდის, სამხრეთ კორეის, მალაიზიის, ინდონეზიისა და ფილიპინების ე.წ. „ცუდი“ ვალების ძირითადი ნაწილი სწორედ ევროპული ბანკების წილად მოდის. ევროპაში აღებული ვალების 90% 20 ბანკშია აკუმულირებული. სიტუაცია იმდენად სერიოზულია, რომ ექსპერტები როგი გერმანული და ფრანგული ბანკების საერთაშორისო რეიტინგის დაცემას არ გამორიცხავენ.

ზოგიერთი მათგანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში დაზარალების გამო სტაბილიზაციის სპეციალურ ფონდებს ქმნის. ზოგიერთი ბანკი კი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან აზიის ქვეყნებში მათი საკრედიტო ოპერაციების წილი საერთო კაპიტალის 30-60%-ს შეადგენდა. (გეა)

# განცხადებები

იცვლება 2 ოთახიანი ბინა ბახტრიონზე და 4 ოთახიანი V კვარტალში კერძო სახლზე ან სუპერმარკეტზე ქალაქის ცენტრში. ტელ. 39–26–39

იყიდება ან იცვლება საბურთალოზე ბახტრიონის ქუჩაზე ბუკიას ბაღთან 2 ნახევრიანი ბინა მიშენებით. III სართ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39–26–39

იყიდება ან იცვლება საბურთალოზე V კვარტალში 4 ოთახიანი ბინა თუხარელის პროექტის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39–26–39

სასწრაფოდ იყიდება 1 ოთახიანი ბინა მოსკოვის პროსპექტზე. ფასი 3000$ ტელ. 71–16–91

იყიდება ოთხნახევრიანი ბინა დიღმის მასივში VII სართულზე. ბინა გარემონტებულია. აქვს ავტოფარეხი. ფასი 8500$ ტელ. 52–78–22 ზურა

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 65 კვ.მ მიმატებით, ტელეფონით. ფასი 33000$ ტელ. 37–02–80

იყიდება გარემონტებული ოთხოთახიანი ბინა მუხიანის დასახლებაში 4 მ/რ–ში, 15 კორპ. III სად. ბინა 57. ფასი შეთანხმებით. ტელ. 63–21–80 ნათელა

იყიდება სატვირთო ავტომანქანა „ზილ–130“ კაპიტ. გარემონტებული. ახალი საბურავებით. ფასი 1600$ ტელ. 61–89–00

ვასწავლი გიტარაზე და ფორტეპიანოზე დაკვრას საესტრადო განხრით სწრაფი მეთოდით. ტელ. 95–89–97 იზაბელა

ვამზადებ აბიტურიენტებს სამართალში, სახლში მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95–86–04

იყიდება საკონდიტრო ღუმელი, რუსული წარმოების, მუშა მდგომარეობაში, 2 კარებიანი შესადგმელით. ფასი 550 დოლარი. ტელ. 53–56–63

---

მეუღლე სოფიო, შვილები: ანტონი, როზა (ტურფა) შვილიშვილები: მამუკა, სოფიკო, თეონა წიკლაურები, ნინო გვასალია, ძმა ალექსი წიკლაური, ძმისშვილები და დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ (ლადო) იაგორის ძე წიკლაური**

პანაშვიდი 3, 4/II.98 წ.
გამოსვენება 5/II.98 წ. 2 საათზე.
მისამართი: გარიყულის ქ.№21

---

## თემურ ჯაფარიძის ხსოვნას



ჩემო თემურ! ძნელია იმის დაჯერება, რომ აღარა ხარ, რომ შენს ღიმილიან, კეთილ სახეს ვეღარ დავინახავთ. მოუსვენარი, მუდამ კეთილი საქმისათვის შემართული იყავი. გიყვარდა მოყვასი შენი და ფუტკარივით მოფუსფუსე ყველას უზიარებდი შენს დიდ სიყვარულს. ვაჟკაცურად წახვედი ამქვეყნიდან და მარადიულ სასუფეველში დაიდე ბინა, ღმერთსაც ხომ კარგები უყვარს წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი და სევდა.

თამაზ ჯაფარიძე

---

## „მეკობრეები“ ეთერში

გასული წლის ბოლოს მოსკოველმა ტელემაყურებლებმა აღმოაჩინეს, რომ დეციმეტრული დიაპაზონის არხზე სხვადასხვა კომერციული პროგრამები იპარებოდნენ. ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ ერთ–ერთი უცნობი პროგრამა ეკუთვნის ვინმე ბ–ნ გუსინსკის. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ასეთი „მეკობრული“ პროგრამების რიცხვი გაიზრდება.

## ეს არის სიტყვის თავისუფლება?

ახლახანს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დადგენილება „ტელეკომპანია НТВ-სა და სხვა არასახელმწიფო ტელე და რადიოკომპანიების მოქმედების რეგულირების შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ „ტელეკომპანია НТВ კონფლიქტური სიტუაციების გაღვივებისა და საზოგადოების პოლიტიკური დაპირისპირების სიტუაციების გაღვივებისა და საზოგადოების პოლიტიკური დაპირისპირების კომპანიას ახორციელებს, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისათვის იგი იყენებს სიცრუესა და ფაქტების დამახინჯებას. სატელევიზიო პროგრამებში შეურაცხმყოფელი ლექსიკა ნორმად იქცა. რუსეთის ფედერაციის ხალხთა ტრადიციების საწინააღმდეგოდ ტელეკომპანია НТВ აგრძელებს ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის წარმოებასა და გასაღებას. აშკარად იგნორირებულია მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები. შეიმჩნევა ფაქტები რუსეთსა და მის მეზობლებს შორის შუღლის ჩამოგდების მცდელობისა“. ამიტომაც სახელმწიფო სათათბირომ მთავრობას მოუწოდა, მიიღოს ზომები, მათ შორის ტელეკომპანია НТВ-სთან დადებული ხელშეკრულების გადახედვა, რაც სატრანსლაციო სიგნალებზე ტარიფების გაზრდით უნდა დამთავრდეს.

## ბუნტი ინდონეზიაში

ინდონეზიაში სურსათზე ფასების გაძვირების გამო სახალხო ბუნტი დაიწყო. 200 მილიონიანი ერი პროტესტს აცხადებს უმუშევრობისა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, სახალხო უკმაყოფილების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული, მაგრამ პოლიცია და არმია გაძლიერებულ მზადყოფნაშია მოყვანილი.

ქალაქ პასურუანის პოლიციამ 200 დემონსტრანტის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ქუჩაში გამოსულები მაღაზიების დარბევით იმუქრებოდნენ. ამავე ქალაქის გარეუბნებშიც 2000–მდე ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და ეთნიკური ჩინელების მაღაზიების ვიტრინებს ქვებსა და საწვავით სავსე ბოთლებს ესროდნენ. პოლიციამ ბუნტი ჩააცხრო და მღელვარების კერა ალყაში მოაქცია.

ინდონეზიის სავაჭრო სექტორის დიდ ნაწილს ჩინელები აკონტროლებენ. ეროვნული კრიზისების დროს სწორედ ისინი იქცევიან ხოლმე სახალხო რისხვის სამიზნეებად. (გეა)

## ბრიტანეთში იარაღს აბარებენ

მიმდინარე წლის პირველ მარტს დიდ ბრიტანეთში ამოიწურება ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ვადა, რის შემდეგაც ყველას, ვისაც იარაღს აღმოუჩენენ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ემუქრება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება 22 მილიმეტრამდე კალიბრის მქონე იარაღის მფლობელებს. უფრო მსხვილი კალიბრის იარაღი ბრიტანელებს ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა ჩაებარებინა. (გეა)

---

## დემურ ბრიგვოლიას ხსოვნას



სიკვდილი სიცოცხლის თვისებაა და მას ვერვინ შეცვლის. ის გარდუვალია, მაგრამ მაინც ვერ ვეგუებით, ძალა კი არ შეგვწევს მის დასამარცხებლად, ამიტომ სიცოცხლეს ერთადერთი გამართლება აქვს, – იცხოვრო კაცურად და იღვაწო მოყვასისათვის. შენ ნაადრევად წახვედი და ამაზე მეტად გვწყდება გული. წელს პირველად შევხვდებით შენს დაბადების დღეს, 8 თებერვალს უშენოდ. ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იყავი და მტკივნეულად განიცდიდი ერის ბედსა და უბედობას, წარსულს, აწმყოს და მომავალს. დასანანია, რომ შენი ისტორიულ–ფილოლოგიური ცოდნა თან წაიღე და ვერავის გადასცემ!

ეროვნული ცნობიერების გარეშე არ არსებობს არც სახელმწიფო. ეს ეროვნული ცნობიერება უხვად, შეიძლება ითქვას, ზედმეტად გქონდა მომადლებული, ერთა შორის სამართლიანობის ღრმა გრძნობასთან შერწყმული.

ერთხელ მამასახლისი, ხის ძირას მჯდარი, ასამართლებდა მომჩივნებს: ერთმა მოახსენა – მე ამ კაცს მივყიდე ცარიელი ადგილი სამოსახლოდ. როცა სახლის საძირკველს თხრიდა, მიწაში ორმო ნახა, შიგ დიდძალი განძი იდო – ოქრო–ვერცხლი. ახლა ეს კაცი მეუბნება, მე განძი კი არ მიყიდია, ცარიელი ადგილი ვიყიდეო, განძი შენია და შენვე უნდა წაიღოო. უნდა, რომ უსამართლობა ჩამადენინოს, უბრძანეთ, თვითონ წაიღოს და მოიხმაროსო. შენ რაღას იტყვიო, მიუბრუნდა მსაჯული მეორეს. მეორემ უთხრა: მე ადგილი ვიყიდე და იქ მიწაში თუ რამე აღმოჩნდა, მაგისი იქნება და არა ჩემიო. უბრძანეთ, წაიღოს, უსამართლობას ნუ ჩამადენინებსო. ესაა ქართული ხასიათი და ეს თვისება იყო შენი კაცურკაცობის ნიშანი. ამ თვისებით იცხოვრე ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრებით.

იმედად შენი შვილი გვყავს, ერეკლე, რომ გააგრძელებს შენგან მომადლებულ შენს სხივოსან გზას.

რა ვქნათ, უნდა შევეგუოთ შენს აქ არყოფნას იმ იმედით, რომ იქ, იმ საუფლოში ნათელში გამყოფებს ღმერთი. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

ციალა ბრეგვაძე

---

## პანტელეიმონ გიორგაძე მოსკოვში მოხსენებას გააკეთებს

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პანტელეიმონ გიორგაძე უკვე ოთხი დღეა მოსკოვში იმყოფება, იგი შეხვდა და ესაუბრა რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს და გენადი ზიუგანოვს, რომელთა მიწვევით 14 თებერვალს გამართულ პლენუმზე მიიღებს მონაწილეობას, სადაც მოხსენებას გააკეთებს ნაციონალური საკითხების შესახებ. 15 მარტს პანტელეიმონ გიორგაძე დაესწრება რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას, რის შემდეგაც დაბრუნდება საქართველოში. (გეა)

## კომუნისტები ესალმებიან „ლატვიელი ხალხის ეროვნულ გმირს“

1997 წლის 7 თებერვალს, შვიდი წლის პატიმრობის შემდეგ, საპყრობილედან გათავისუფლდა ლატვიის კომპარტიის საკრებულოს პირველი მდივანი, ალფრედ რუბიკსი. ამ დღეებში რუბიკსი მოსკოვს ეწვია.

„მგზნებარე კომუნისტს“ რკინიგზის სადგურში გულწრფელი შეხვედრა მოუწყეს კომუნისტურ პარტიათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, ოლეგ შენინმა, რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გენადი ზიუგანოვმა, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ და ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიათა რიგმა ხელმძღვანელებმა. აღსანიშნავია, რომ „ლატვიელი ხალხის ეროვნულ გმირს“ ქართველი კომუნისტების სახელით მიესალმა პანტელეიმონ გიორგაძე. (გეა)

## პარლამენტში გაიხსნა ნოე ჟორდანიას მემორიალი

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტში თავისი პოლიტიკური მოხსენების გაკეთების შემდეგ პირველი რესპუბლიკის კუთხეში გახსნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მეთაურის ნოე ჟორდანიას მემორიალი, რომლის ავტორია მოქანდაკე გენო წულაია.

მემორიალის გახსნა მიეძღვნა პირველი რესპუბლიკის 80, ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 130 და გარდაცვალებიდან 45 წლისთავს. (იფრინდა)

---


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444